საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 აპრილი, 2014 წელი.

№83 (7464)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბრებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი ღარიბაშვილი:

მოდით, ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!

2

...თურმე, როგორ სადად, ხელოვნური გრანდიოზულობის, დროშა-ლოზუნგების ფრიალსა და „მიშა-მიშას“ სკანდირება-ღრიალის, ორატორთა ხელოვნურად დაბოხებული თუ ხმაში „ჩაღვრილი“ ლითონივით „მჭექარე“ გამოსვლების გარეშე შეიძლება საქმიანი თავყრილობების გამართვა! თურმე, როგორ მოგვნატრებია ესოდენ საჭირო სისადავე!

რასაც ჩვენი რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ახალი კანონი მას აკანონებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პარლამენტს მიმართავს, გადადოს კანონპროექტის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მოცემული სახით მიღება.

ამის შესახებ ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ილია მეორის განცხადება საპატრიარქოში გუშინ პატრიარქის მდივანმა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა წაიკითხა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტში ამჟამად განიხილება კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ძალადობასა და დისკრიმინაციას, რადგან ქრისტიანული რელიგია სიყვარულის რელიგიაა და მისი სწავლება სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება.

— ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში კი კონსტიტუციაში არარსებული ცნება „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად, ევროკავშირი წარმოადგენს განსხვავებული ერებისა და რელიგიების გამაერთიანებელ მრავალფეროვან სივრცეს, რომელიც აცხადებს, რომ აღიარებს სხვადასხვა ხალხების კულტურასა და ტრადიციებს, საქართველოსთან მიმართებაშიც მზად არის, გაითვალისწინოს და პატივი სცეს ჩვენს ფასეულობებს. აღნიშნული კანონპროექტის მოთხოვნები ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება, — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც დეკანოზმა მიქაელმა აღნიშნა, განხილვების დაწყების შემთხვევაში საპატრიარქო მზადაა, ითანამშრომლოს დაინტერესებულ მხარეებთან.

საქართველო — ოკუპაციის ქვეშ

3

ნაციონალების ავადმყოფური მოჩვენებანი

5

ეპირებს თუ არა რუსეთი საქართველოს რეგიონების მიერთებას?

4

წინ, საქართველო!

10

ძიუდოისტთა ტრიუმფი საფრანგეთში

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი: მოდით, ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!

სპორტის სასახლეში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენას 26 აპრილს „ქართული ოცნების“ ლიდერები, მათ შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ოჯახთან ერთად დაესწრნენ. „ქართული ოცნების“ წევრებს და მხარდამჭერებს სიტყვით მიმართეს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა კახა კალაძემ და დედაქალაქის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ. შეკრებას ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო.

— ადგილობრივ არჩევნებზე სწორი არჩევანის გაკეთება იმ რეალური გზის დასაწყისია, რომელმაც ჩვენი სოფლები და ქალაქები განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს, — განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ სპორტის სასახლეში სიტყვით გამოსვლისას, წელიწადნახევრის წინ ჩვენ დავიბრუნეთ ქვეყანა, წერტილი დავუსვით სიცრუის პროპაგანდას და კლანურ მმართველობას, დავიბრუნეთ წართმეული უფლებები, აღვიდგინეთ დაკარგული ღირსება... „ქართულმა ოცნებამ“ გაგვაერთიანა იმ გამარჯვების მიზნის ირგვლივ, რომელსაც საერთო ძალისხმევით სულ მალე ერთად ვიზეიმებთ,“ — აღნიშნა კალაძემ და 15 ივნისს დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებს უპრეცედენტო უწოდა, როდესაც ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვის ანდოს თავისი სოფლისა თუ ქალაქის მართვა, ვის მოსთხოვოს პასუხი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თვითმმართველი ქალაქების მერობის 12 კანდიდატი წარადგინა.

ქუთაისის მერობისთვის **შოთა მურღულია** იბრძოლებს, ბათუმში მერობის კანდიდატი **გიორგი ერმაკოვი** იქნება, თელავში — **პლატონ კალმახელიძე,** ამბროლაურში — **რატი ნამგალაძე,** რუსთავში — **დავით ჯიქია,** ახალციხეში — **გიორგი კოპაძე,** მცხეთაში — **ავთანდილ ნემსიწვერიძე,** ზუგდიდში — **ირაკლი გოგოხია,** გორში — **ზურაბ ჯირგველიშვილი,** ოზურგეთში — **ბეგლარ სიორიძე,** ფოთში — **ირაკლი კაკულია,** ხოლო თბილისის მერობისთვის **დავით ნარმანია** იბრძოლებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა სპორტის სასახლეში კოალიცია ,,ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების წარდგენისას, თითოეულ მათგანზე ისაუბრა. პრემიერის განცხადებით, ქუთაისის მერობის კანდიდატი ამჟამადაც ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია, პროფესიით ეკონომისტი და სამართალმცოდნეა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილებით. მისივე შეფასებით, ქუთაისს ასეთი მერი სჭირდება;

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ბათუმში მერობის კანდიდატი გიორგი ერმაკოვი სამართალმცოდნე, ბათუმში დაბადებული და გაზრდილია. „მას კარგად ესმის და იცის, რა სჭირდებათ ბათუმელებს და ბათუმს“, - აღნიშნა პრემიერმა.

თელავის მერობის კანდიდატი პლატონ კალმახელიძე პრემიერმა ასე დაახასიათა: „კახელი კალმახელიძე, ძირძველი თელაველი, პროფესიით ექიმია“.

პრემიერის ინფორმაციით, ამბროლაურის მერობის კანდიდატი რატი ნამგალაძე განათლებით მშენებელ-ინჟინერი, ეკონომისტია., რუსთავის მერობის კანდიდატად წარდგენილი რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ჯიქია კი პროფესიით ეკონომისტიაო.ახალციხის მერობის კანდიდატი გიორგი კოპაძე სამართალმცოდნეა. იგი სამუშაო გამოცდილებით დაკავშირებულია საქართველოს ამ ისტორიულ კუთხესთან და ქალაქ ახალციხესთანო. მცხეთის მომავალ მერად წარდგენილი ექიმი ავთანდილ ნემსიწვერიძე მცხეთელებისთვის საამაყო ადამიანად მოიხსენია. „ბატონი ავთანდილი ყოველთვის

გამოირჩეოდა პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციით. ის არ ეპუებოდა უსამართლობას არც საბჭოთა პერიოდში, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში იყო, და არც მისი ცხოვრების მომდევნო წლებში“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პროფესიით ეკონომისტს, ზუგდიდის მერობის კანდიდატს ირაკლი გოგოხიას, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეძლევა საშუალება, ემსახუროს მშობლიურ ზუგდიდსა და ზუგდიდელებს. გორის მერობის კანდიდატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ჯირკველიშვილი გორის პრობლემებზე მუშაობის გამოცდილებით გამოირჩევა., მან კარგად იცის, რა არის პირველადი და უმთავრესი საზრუნავი. ოზურგეთის მერობის კანდიდატი, ოზურგეთელი ბეგლარ სიორიძე სოფლის მეურნეობის სპეციალისტია, ამ დარგში ძალიან კომპეტენტური ადამიანი, ბიზნესმენი, რომელმაც ძალიან კარგად იცის შრომის ფასი და დღემდე არაერთი ადამიანი ყავს დასაქმებული“, — აღნიშნა პრემიერმა.

ფოთის მერობის კანდიდატი ირაკლი კაკულია ფოთში დაბადებული და გაზრდილი კაცია, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ასევე იურისტი, კარგი მეურნე და კარგი ადამიანი, — ხაზი გაუსვა პრემიერმა. ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ ირაკლი კაკულია დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს.

„როგორც იცით, თბილისის მერობისთვის იბრძოლებს ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი ბატონი დავით ნარმანია. დარწმუნებული ვარ, ბატონი დავითი დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და ჩვენს დედაქალაქს მისი სახით შესანიშნავი თავკაცი ეყოლება. დავით ნარმანია დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელიც კარგ მერს უნდა ჰქონდეს. დავით ნარმანია არის მეცნიერებათა დოქტორი და, ამავე დროს, შესანიშნავი მენეჯერი და მეურნე. იგი გახლავთ თვითმმართველობის კოდექსის ავტორი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრი ჩვენს მთავრობაში. დარწმუნებული ვარ, სწორედ მას აირჩევენ თბილისელები, სწორედ მას ანდობენ თბილისის მერის უაღრესად საპატიო მანდატს“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იგი კოალიციის კანდიდატების დამაჯერებელ გამარჯვებაში დარწმუნებულია. პრემიერმა კანდიდატებს წარმატებები უსურვა და მხარდამჭერებს „ქართული ოცნების“ კანდიდატებისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდა.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენი კანდიდატები ღირსეულად იბრძოლებენ თვითმმართველობის არჩევნებში და დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებენ. მინდა ვუსურვო თითოეულ მათგანს წარმატებები ამ ბრძოლაში. მოვუწოდებ ჩვენს მხარდამჭერებს, ყველას, ვისთვისაც ღირებულია დემოკრატიული პრინციპები, კანონის უზენაესობა, სამართლიანობა, კეთილდღეობა, ხმა მიეცით „ქართული ოცნების“ კანდიდატებს! შემოხაზეთ 41! ჩვენ გავიმარჯვებთ და თქვენთან ერთად ვუპატრონებთ ჩვენს ქვეყანას! მოდით, ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღარიბაშვილის თქმით, თვითმმართველობის არჩევნები უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე, ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა კანდიდატმა კონკურენტუნარიან გარემოში წარმართოს საარჩევნო კამპანია. მისი თქმით, ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ჰყავდა ქვეყანას, ვერ შეძლო თვითმმართველობის რეფორმის ჩატარება.

„ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელიც აბსოლუტურად ყველა ამომრჩეველს უქმნის თავისუფალი არჩევანის პირობებს. ჩვენ ვიცავთ და ვუფრთხილდებით თითოეული ამომრჩეველის ხმას, პატივს ვცემთ თითოეული თქვენგანის არჩევანს. თვითმმართველობის არჩევნები უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე. ახლა სრულიად ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ, დღეს ჩვენ წინაშე ახალი დღის წესრიგია. დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება ახალი ტიპის, ევროპულად მოაზროვნე ლიდერები. სწორედ ადგილებზე, ქვედა დონეებზე უნდა გვყავდეს ისეთი ლიდერები, რომლებიც არა ერთპიროვნულად, არამედ ხალხის აქტიური მონაწილეობით მიიღებენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ხალხი წლების განმავლობაში შეეჩვია იმ მანკიერ პრაქტიკას, როცა ადგილობრივი ხელისუფალი ხალხის აზრს არ ითვალისწინებდა. მეტიც, თვითონ ადგილობრივი ხელისუფლებაც ვერაფერს წყვეტდა, იგი მთლიანად დამოკიდებული იყო ცენტრალურ ხელისუფლებაზე და „თბილისიდან მოსულ“ გადაწყვეტილებებზე. ეს მათ პასუხისმგებლობისგანაც ათავისუფლებდა და მოვალეობებისგანაც. ასეთმა მმართველობამ რა შედეგამდეც მიგვიყვანა, სამწუხაროდ, კარგად იგრძნობა რეგიონებში.

ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყანაში ახალი ტიპის მმართველობის შემოღება, რადგან დეცენტრალიზაცია ხელისუფლების გადანაწილებას გულისხმობს და მას ძალაუფლების დაკარგვის საფრთხედ მიიჩნევდნენ. ჩვენ ამის არ გვეშინია. პირიქით, ჩვენ სწორედ ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაყრდნობით ვქმნით ძლიერ ქვეყანას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ჩვენ გავიმარჯვებთ და თქვენთან ერთად ვუპატრონებთ ჩვენს ქვეყანას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა და სიტყვა დავით ნარმანიას გადასცა.

დავით ნარმანია კანდიდატად წარდგენის შემდეგ დამსწრე საზოგადოება მიესალმა და მადლობა გადაუხადა ნდობისთვის.

„დღემდე ერთ გუნდად მოვედით, ამ არჩევნებშიც ერთად გავიმარჯვებთ, ერთად ვიზრუნებთ საქართველოზე. ერთად ვიზრუნებთ თბილისზე, ერთად შევქმნით ღირსეულ გარემოს ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, ეს არის ქართველი ხალხის წინაშე აღებული ვალდებულება და ეს არჩევნები ამ ვალდებულებების შესრულების რეალური გზაა. კონკრეტული სოფლის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის პრობლემების მოგვარება ყველაზე უკეთ ადგილზე შეიძლება, ამის რეალური შესაძლებლობა დღემდე არ არსებობდა, რადგან ყოფილი ხელისუფლების მიერ შეგნებულად იყო შეზღუდული. საბედნიეროდ დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. ქართველი ხალხის და „ქართული ოცნების“ ძალისხმევით შეიცვალა ერთი ჯგუფის ინტერესებზე მორგებული მმართველობის სისტემა. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოსახლეობას, მართლაც, შეეძლება საკუთარი სოფლის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის თავად მართვა. პირველად საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლება რეალურად გადაეცემა ხალხს“.

დავით ნარმანიამ ისაუბრა ყველა იმ პრიორიტეტზე, რომელიც მისი თბილისის მერად არჩევის შემთხვევაში განხორციელდება და ვრცლად გააცნო დამსწრე საზოგადოებას საარჩევნო პროგრამა.

...თურმე, როგორ სადად, ხელოვნური გრანდიოზულობის, დროშა-ლოზუნგების ფრიალსა და „მიშა-მიშას“ სკანდირებაღრიალის, ორატორთა ხელოვნურად დაბოხებული თუ ხმაში „ჩაღვრილი“ ლითონივით „მჭექარე“ გამოსვლების გარეშე შეიძლება საქმიანი თავყრილობების გამართვა! თურმე, როგორ მოგვნატრებია ესოდენ საჭირო სისადავე!

ნატა ნიბლაძე

◎ ინფორმაცია

საქართველოში რუსეთის დუმის დეპუტატები ჩამოვლენ

როგორც პრესკონფერენციაზე კოალიცია „ევრაზიული არჩევანი — საქართველოს“ ხელმძღვანელმა არჩილ ჭყოიძემ განაცხადა, საქართველოში სულ სამი დეპუტატი ჩამოვა: ლიბერალ-დემოკრატიული პარტიიდან, Единная Росия-დან და კომუნისტური პარტიიდან.

ჭყოიძის თქმით, რუსი დეპუტატების ვიზიტი მისი მოსკოვში ყოფნისას დაიგეგმა. როგორც ჭყოიძემ განაცხადა, მან შეხვედრები გამართა ლეონიდ სლუცკისთან და დუმის აპარატის თანამშრომლებთან. ჭყოიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და მთავრობას მიმართავს, რომ რუს დეპუტატებს შეხვდნენ და იმ პრობლემებზე ისაუბრონ, რომელიც საქართველო-რუსეთს შორის არსებობს.

— მიუხედავად ვითარების დათბობისა, კვლავ დაძაბული რჩება სიტუაცია. ძალიან კარგი იქნებოდა, დიალოგი დაიწყოს რუსეთის მაღალჩინოსნებთან. პრობლემებია იგივე მავთულხლართებთან დაკავშირებით, ამ პრობლემების მოგვარება რუსეთთან დიალოგის გარეშე შეუძლებელია. მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და მთავრობას, შეხვდნენ დუმის დეპუტატებს, ასევე შეხვედრა გაიმართება არასაპარლამენტო ოპოზიციასთანაც, რომელთა ნაწილმაც ძალიან დიდი სიხარული გამოთქვა ამის გამო. ასევე შეხვედრები იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, — განაცხადა ჭყოიძემ.

მისივე თქმით, ჯერჯერობით უცნობია სამი პარტიიდან კონკრეტულად რომელი დეპუტატები ჩამოვლენ.

გაჩეჩილაძე ხარისხიან წყალს გვპირდება

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გიორგი გაჩეჩილაძე დაინიშნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“ აცნობეს, აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე, გიორგი გაჩეჩილაძე კომპანიის კრიზისული სიტუაციების მართვის შტაბს ხელმძღვანელობდა.

გიორგი გაჩეჩილაძე სპეციალობით ეკონომისტია. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ფლობს ეკონომიკის მაგისტრის წოდებას. 1999-2000 წლებში მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე, 2001-2003 წლებში კი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა ეკავა. 2003 წლიდან მოყოლებული, გიორგი გაჩეჩილაძე კერძო სექტორში მოღვაწეობს.

კომპანიის ახალი გენერალური დირექტორის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება როგორც დედაქალაქის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სტაბილურობისა და საიმედოობის გაზრდა, ასევე, ხარისხიანი სასმელი წყლით თბილისის მოსახლეობის შეუფერხებელად მომარაგება, მომსახურების სტანდარტების ამაღლება და არსებული სისტემების ძირეული მოდერნიზაცია.

გიორგი გაჩეჩილაძემ გენერალური დირექტორის პოსტზე ალექსეი კუზნეცოვი შეცვალა.

კვირა, რომელიც გამოვიარეთ

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კვლავაც უკრაინაა. მაიდან-რევოლუციური ხელისუფლება თანდათან გონს მოდის და მოქმედ რუსეთთან საომრად ემზადება. დანარჩენი მსოფლიო დენთის კასრზე ზის, რომელსაც ვინმე საპაპუშვილივით ტვინგახურებული სიამოვნებით შეუნთებს ცეცხლს.

ისევ უკრაინა

საერთაშორისო შეთანხმებების, სანქციების, მუქარების, პუტინ-ლავროვის მშვიდობისმტრედული და ობამა-კერის ორჭოფული „უაღრესად შეშფოთებული“ განცხადებების კვალდაკვალ გასულ კვირაში მიმდინარეობდა რუსეთის ჯარების კონცენტრაცია უკრაინის საზღვრებთან. გამოჩნდნენ ძველი, გამოჯეკილი სამხედრო კადრები — თეორეტიკოსებიც (ე.წ. „შტაბისტები“) და საველე მეთაურებიც. ბრიანსკისა და კურსკის ოლქებში, ტაგანროგში, დონის როსტოვში, პოლესიეში, დონეცკში, ზაპოროჟიეში, დნესტრისპირეთსა და ყირიმში მობილიზებულია კანტემიროვისა და ტამანის დივიზიები, 98-ე საჰაეროსადესანტო არმია, სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულების სამხედრო შენაერთები, მოტომსროლელი ბრიგადები, ფსკოვისა და ტულის მედესანტეები, სპეციალური დანიშნულების რაზმები, სამხედრო ხომალდები და ა.შ. სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია ასი ათასამდე ჯარისკაცი; 398 ტანკი; 1330 საბრძოლო ჯავშანმანქანა; 312 საარტილერიო სისტემა; 80 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა; 215 საბრძოლო თვითმფრინავი; 120 მოიერიშე ვერტმფრენი; 117 საბრძოლო ხომალდი... როგორც სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რუსეთის „ელვისებური ომი“ უკრაინის წინააღმდეგ სავარაუდოდ 5 მაისამდე დაიწყება.

მსოფლიო მართლაც შეშფოთებულია, რადგან თუ ომი დაიწყო, მაშინ რუსეთისა და ევროპის გამყოფმა ხაზმა მდინარე დნეპრზე კი არა, შესაძლოა, ლა-მანშის სრუტეზე გაიაროს. ამიტომ ბალტიისპირეთში, პოლონეთში, ჩეხეთსა და რუმინეთში ნატომაც სასწრაფო წესით დაიწყო ცოცხალი ძალის, ჯავშანტექნიკის, ავიაციისა და სარაკეტო სისტემის თავმოყრა.

თავის მხრივ, გულხელდაკრეფილი არც უკრაინის ხელისუფლება ზის და დაუპატიჟებელი სტუმრების მოსაგერიებლად გამალებით ემზადება. რუსი სამხედრო სპეციალისტების აზრით, უკრაინაში „წესრიგის აღდგენას“ დიდი-დიდი ორი-სამი დღე დასჭირდეს. კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი ემუქრება. სამწუხაროდ, პატარა და უმწეო საქართველოს ამ ომში არავინ არაფერს შეეკითხება და ვინმე არც მომრიგებლის მანტიას მოასხამს. მას დიდი შანსი აქვს, ისე გაიჭყლიტოს, როგორც კოზაკი აქლემების ომში.

ქვეყნის გადასარჩენად დიდი, ძალიან დიდი სიბრძნე, მოთმინება და ბეწვის ხიდზე ჯამბაზობის ნიჭია საჭირო. ვეჭვობ, ამჯერად გივი თარგამაძის სტრატეგოსობა და სოსო ჯაჭვლიანის კაიბიჭობა გამოგვადგეს.

გვიახლოვდება არნახული დემოკრატია

ვერ ვიტყვი, საქართველოს ხელისუფლებას ეს ამბები არ აშფოთებს-მეთქი, მაგრამ ახლა მისთვის მთავარი კარს მომდგარი ადგილობრივი არჩევნებია. კიდევ ერთხელ გადასარჩენია ქართული დემოკრატია, ამჯერად ახალი მმართველი პოლიტიკური ძალის ხელით, გონით და მონდომებით. გასულ შაბათს „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანიის დაწყება ოფიციალურად გვახარა, თბილისის სპორტის სასახლეში გრანდიოზული თავყრილობა მოაწყო და 12 თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატებიც წარმოგვიდგინა. როგორც ადრევე დაგვპირდნენ, თბილისის მერობისთვის დავით ნარმანია იბრძოლებს. სპორტის სასახლეში სიტყვით გამოსვლისას ბატონმა ნარმანიამ ამომრჩევლებს და თავყრილობაზე საპატიო სტუმრის სტატუსით დამსწრე ბიძინა ივანიშვილს მომავალი თბილისის გულის ამაჩუყებელი სურათი დაგვიხატა — მილიონი მწვანე ნარგავით, კომფორტული ტრამვაის ვაგონებით, ცინცხალი საცხოვრებელი კორპუსებით, სპორტული მოედნებით, მდელოებზე მოგოგმანე ღაღაჟა ქალებითა და ბედნიერების ღიმილდაფრქვეული სახეებით.

სხვათა შორის, ამ შეკრებამდე ორიოდე დღით ადრე მისმა მეტოქემ ნაციონალური მოძრაობიდან ნიკა მელიამ საინტერესო განცხადება გააკეთა - ნარმანია აშკარად კეთილშობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მის წარმოშობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რად გინდა, დამოუკიდებელი ვერ იქნებაო. ბატონ მელიას არ დაუკონკრეტებია, მისი აზრით, ვის დაკრულზე იცეკვებს ბატონი ნარმანია-მერი: მოქალაქე ივანიშვილის, პრემიერ ღარიბაშვილის თუ მოსიყვარულე სიდედრის.

„ქართული ოცნების“, ანუ ბიძინა ივანიშვილის კანდიდატს თბილისის მერობას ალბათ ვერავინ შეეცილება, მაგრამ ნაცმოძრაობის, ანუ უგულავას კანდიდატის მეორე საპრიზო ადგილი ძალიან სათუოა - ამ საპატიო ადგილის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი დიმიტრი ლორთქიფანიძეს აქვს. არ იფიქროთ, მისთვის ჩემპიონობა არ მემეტებოდეს, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი ბევრად აღემატება ნინო ბურჯანაძისას, ვის პარტიასაც წარმოადგენს მართლაც ღირსეული ადამიანი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამწვავდა დაპირისპირებები გორის, კასპის, ყვარლის, ახმეტის, ქუთაისისა და სხვა საკრებულოებსა და მუნიციპალიტეტებში. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თემურ შაშიაშვილის შემდეგ ქუთაისს უკვე 21-ე მერი ჰყავს! გასულ კვირაში წვრილმანი ხულიგნობისთვის დააკავეს და შემდეგ ასლარიანი ჯარიმით გაათავისუფლეს ყვარლის გამგებელი დავით ქევხიშვილი — ძიუდოს ფედერაციის თავჯდომარე. ასე რომ, პოლიტიკურმა ინტრიგებმა თავად შესანიშნავ სპორტსმენსა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თავჯდომარეს დავით ქევხიშვილს, გასულ კვირაში საქართველოს ძიუდოს ნაკრების ევროპულ ჩემპიონატზე წარმატების ზეიმი ჩაუშხამა.

საქართველო — კოზაკი აქლემების ომში

რა გაეწყობა, როგორც ბრიტანულ-ოფიჩხოური ანდაზა გვასწავლის, პოლიტიკა მოითხოვს მსხვერპლს.

მიხეილ განმანათლებელი

ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს ისტორიაში ბევრ სხვა სახელთან ერთად („მიხეილ მაღალი“, „მიხეილ დაღმაშენებელი“, „მიხეილ გულთამპყრობელი“, „ელენეს მიშუტკა“, „შადრევან პირველი“...) ალბათ „მიხეილ განმანათლებლის“ თიკუნითაც შევა. როგორც ყოველთვის, დანაპირები მან ახლაც შეასრულა და ამერიკელი პრეზიდენტების ტრადიციისამებრ, თბილისში თავისივე სახელობის ცენტრი და ბიბლიოთეკა გახსნა.

ნაცმოძრაობის მმართველობისას თბილისსა და მთელ საქართველოში საკუთარი თვალით რომ არ მენახა მრავალი წლის განმავლობაში რუდუნებით შექმნილი ბიბლიოთეკების რბევა, გადაყრილი წიგნები და აცრემლებული წიგნის მოყვარულები; საკუთარი ყურით რომ არ მომესმინა პრეზიდენტ სააკაშვილის „წიგნიერების“ დამადასტურებული ლიტერატურული წიაღსვლები; რომ არ გამეგონა ფანტასტიკური ვერსიები უმდიდრესი ტრადიციული ბიბლიოთეკების მიზანმიმართულ ძარცვაზე - სააკაშვილის კეთილ განზრახვაში ეჭვი არ შემეპარებოდა.

რადგან ყველაფერი ეს ნანახი და მოსმენილი მაქვს, გავბედავ ვივარაუდო, რომ სააკაშვილი ქმნის არა საგანმანათლებლო, არამედ რევანშისტული მოძრაობის ცენტრს, საიდანაც აპირებს „გონებრივი შტურმის“ წამოწყებას ხელისუფლების ხელახალი უზურპაციის უდიადესი მიზნით.

თვითონ სააკაშვილი თავისი ბიბლიოთეკის (რომელსაც ანდრო ბარნოვი უხელმძღვანელებს) გახსნას ამერიკის შეერთებული შტატებიდან ადევნებდა თვალყურს და ამ ქვეყნის ადმინისტრაციისთვის ფრიად საყურადღებო განცხადებაც გააკეთა. გთავაზობთ ციტატას:

„...ამერიკის ძალიან მაღალი თანამდებობის პირმა დაურეკა ჩვენ საგარეო მინისტრს, ელჩი მოვიდა წერილით ამერიკიდან და უთხრა, რომ თქვენ ეტყობა, ვერაფერი ვერ გაიგეთ, ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი დიდხანს ესაუბრა ღარიბაშვილს, რომ ეს არ გააკეთოს. უთხრეს, რომ ძალიან გაბრაზებულები არიან და ეს მთავრობას დაუჯდება ძვირადო. გაფრთხილება იყო არა ღარიბაშვილზე, ან ვიღაც პროკურორზე უთხრეს, რომ პირადად ივანიშვილს დაუწესებდნენ სანქციებს. ამაზე ევროკავშირის მაღალი დონის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს, ეს პრაქტიკა რუსეთის ხელმძღვანელების მიმართ ახლა არსებობს და ივანიშვილი ბევრად ნაკლები სამიზნეა მისთვის და უთხრეს, რომ შენ ანგარიშებს დავაყადაღებთ, სანქციებს დაგიწესებთ, ფრანგულ მოქალაქეობას გადავხედავთ, ვეღარ გადაადგილდები და პრობლემები გექნებაო, ეს იყო მთელი ისტორია“ (სტილი დაცულია).

სხვისა რა გითხრათ, მაგრამ ჩემი აზრით, პანიკით მოცული ბატონი სააკაშვილი ამ განცხადებით არა მარტო საქართველოს, არამედ მისი მშობლიური ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების დაშანტაჟებასაც ცდილობს.

ვნახოთ, რა გამოუვა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ამერიკის საელჩოს ჯერჯერობით ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

საშიში განცხადებები

გასულ კვირაში, „ოცნების“ ყრილობამდე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა საჯარო განცხადებები საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროსა და ეგრეთ წოდებული „პანორამა თბილისის“ პროექტთან დაკავშირებით:

„მინდა, მოგიწოდოთ, რომ ამ თემაზე (საყდრისის ისტორიული მაღარო, — მ. დ.) სპეკულირება დაასრულოს ყველამ. აქ ცალსახად ითქვა ყველაფერი — ექსპერტებმა დადეს დასკვნა. მე მოვისმინე თქვენი საუბარი, რომ ეს არის უძველესი ოქროს საბადო. არავის დაუმტკიცებია, რომ ამ ადგილას იყო უძველესი ოქროს მაღარო — ეს არ მტკიცდება. სამაგიეროდ, რამდენიმე თვის წინ ექსპერტების ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა 2 თუ 3 თვის განმავლობაში, დაადასტურეს და შესაბამისი დასკვნა წარუდგინეს მთავრობას, რის შემდეგაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაეგრძელებინა სამუშაოები RMG Gold-ს. მინდა, მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც წუხან. მე მესმის მათი წუხილი, თითქოს ძეგლის გადარჩენას ცდილობენ. მინდა, მათ შევახსენო - ამ ორგანიზაციაში დასაქმებულია 3 ათასი ადამიანი და კარგად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება მათ, თუ რაიმე შეფერხება შეექმნება აღნიშნულ კომპანიას“.

„ორ თვესაც მოვითმენთ (პანორამა თბილისის“ პროექტთან დაკავშირებით, — მ.დ.) და მერე გავაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვენი ქალაქისთვის“.

ბოდიშის მოხდით, გავბედავ და, ბატონი ღარიბაშვილის გასაგონად ვიტყვი, რომ ასეთი მსჯელობა პრემიერ-მინისტრს არ ეკადრება. საქართველოში ბევრი განათლებული, ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანია და მათ, შესაძლოა, უკეთ იცოდნენ კულტურული მემკვიდრეობისა თუ ქალაქის განაშენიანების პრობლემები. ყოვლისმცოდნეობაზე რომ თავს დებდა და ყველაფერს მხოლოდ საკუთარი გემოვნებით წყვეტდა, ასეთი ხელისუფალი ჩვენ უკვე გვყავდა.

ეტყობა, ბატონი პრემიერის გარემოცვაში კომპეტენტური მრჩევლების მწვავე დეფიციტია.

კიდევ ორი უდანაშაული

გასულ კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ თვეზე მეტი ხნის წინათ საბერძნეთის პორტ პატრაში დაუკავებიათ მძიმე დანაშაულობებისთვის საქართველოში დაუსწრებლად გასამართლებული და ძებნილი დათა ახალაია. ბერძნული წყაროს (გაზეთი „პატრას თაიმსი“) ცნობით, დაკავებისას მას აღმოაჩნდა ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ოთარ ურუშაძის სახელზე, 20 000 ევრო და 10 ათასი დოლარი. ახალაიას ქართველი მოყვარულებისა და მისივე ადვოკატის განმარტებით, იგი ბერძენ სამართალდამცავებს პოლიტიკური თავშესაფრის მიღების მოთხოვნით ჩაბარდა; უფრო სანდო ბერძნული ინფორმაციით (ბერძენი ადვოკატი ლეონიდას პავლიდისი), ახალაია დაპატიმრებულია სისხლის სამართლის დანაშაულის გამო (ყალბი დოკუმენტებით სარგებლობა) და მისი მხრიდან არავითარი პოლიტიკური მოტივები არ განიხილება. ახალაიას ექსტრადირების საკითხს საბერძნეთის სასამართლო ამ კვირაში განიხილავს.

კიდევ ერთი, ამჯერად საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული გულისმომკვლელი ინფორმაცია — პროკურატურას დაუსრულებია დეპუტატ ვალერი გელაშვილის სასიკვდილოდ ცემის ფაქტზე აღძრული საქმე და ერთ-ერთ მთავარ ბრალდებულად უცნია ამჟამად მიმალვაში მყოფი მერაბი შვილის შსს-ს ავადსახსენებელი კუდ-ის უფროსი ერეკლე კოდუა. თუ სასამართლო ბრალდების არგუმენტებს გაიზიარებს, გელაშვილზე თავდასხმის დამგეგმავ კოდუასა და შემსრულებელ სირაძეს ათიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქრებათ.

ბიძინა მიდის, გადატრიალება მოდის!

გასულ კვირის ქართულ საინფორმაციო სივრცეში ძველებურად აქტუალური იყო ბიძინა ივანიშვილის „წასვლა-დარჩენის“ პრობლემა. პირველ ვერსიაზე მეოცნებეები, რაღა თქმა უნდა, „სანდო და უტყუარ“ საიდუმლო წყაროებზე დაყრდნობით, ამტკიცებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილ-ივანიშვილი, იგივე ბორის ივანაევი ქართული პოლიტიკიდან და, საერთოდ, საქართველოდან მიდის; მეორე ვერსიის მოიმედენი, რასაკვირველია, აგრეთვე ყოვლად სანდო და უტყუარ ინკოგნიტო წყაროებზე დაყრდნობით — რომ ბიძინა ივანიშვილი-მიმჯირკვნელი სადმე კი არ მიდის, არამედ ქართულ პოლიტიკაში მოდის!

მოკლედ, დიდი მათემატიკოსის ომარ ხაიამისა არ იყოს, „ვერ გამიგია, ეს წასვლა-მოსვლა ღმერთს რიღასთვის მოუგონია“.

გასულ კვირაში „სანდო და უტყუარ წყაროებზე“ დაყრდნობით გავრცელებული კიდევ ერთი ინფორმაციის თანახმად, მზადდება სასახლის გადატრიალება. სცენარი ასეთია: ივანიშვილზე გაბრაზებულ პრეზიდენტ მარგველაშვილის წაქეზებით თანამდებობას დატოვებს ოთხი მინისტრი, შესაბამისად, სრული შემადგენლობით გადადგება მთავრობა. მერე მარგველაშვილი პრემიერად დანიშნავს ირაკლი ალასანიას, რომელიც, თავის მხრივ, ჩამოაყალიბებს ახალ მინისტრთა კაბინეტს, სადაც „ოცნებისტები“ აღარ იქნებიან.

ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ნიჭიერი მარგველაშვილისა კი არა, მედოლე ხაჩიძის მზაკვრობასაც კი დავიჯერებდი, მაგრამ რა ვუყო საქართველოს კონსტიტუციას:

მუხლი 80(1) (15.10.2010. №3710 ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან). მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს საპარლამენტო უმრავლესობის, ხოლო თუ უმრავლესობა შექმნილი არ არის — იმ საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, რომელშიც ყველაზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული.“

ანუ, კონსტიტუციის თანახმად, პრემიერს ნიშნავს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტის უმრავლესობა! არადა, ქართული „საინფორმაციო ღრუები“ ფლაგმან „ალიას“ მეთაურობით ჯიუტად ამტკიცებენ, უმადური და ვერაგი მარგველაშვილი დღე-დღეზე მთავრობას ამოაყირავებსო!

გასულ კვირაში, 22 აპრილს დაბადებიდან 144 წელი შეუსრულდა ყველა დროისა და ყველა ხალხის მარად ცოცხალ ბელადს, ვლადიმერ ულიანოვს. ვულოცავ ქართველი ლეიბორისტების დიდ წინამძღოლს და, საერთოდ, ყველა გაღლეტილს, ვინც მზადაა, თუნდაც საკუთარი პარტიული კარიერის ფასად, ქვეყნის ქონება მდიდრებს წაართვას და ღარიბებს დაურიგოს!

მიხეილ დარახველიძე

SIC!

ჭკუით თუ არ მოიქცევით...

აპირებს თუ არა რუსეთი საქართველოს რეგიონების მიერთებას?

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მან არაფერი იცის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის განზრახვაზე – მიბაძონ ყირიმს და შეუერთდნენ რუსეთს. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს სერგეი ლავროვის კომენტარი? და რას ფიქრობენ ამის შესახებ თბილისში?

დსთ-ს ქვეყნების ახალგაზრდა დიპლომატების ფორუმზე, რომელშიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრს დაუსვეს შეკითხვა – რამდენად გამართლებულია პარალელების გავლება აფხაზეთსა და აწ უკვე რუსეთთან მიერთებულ ყირიმს შორის. სერგეი ლავროვმა თავის პასუხში აფხაზეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთიც მიუმატა:

„მე არ მსმენია, რომ აფხაზ ხალხს, აფხაზეთის ხელისუფლებას წამოეყენებინოს საკითხი, რომ მისდიონ ყირიმის გამოცდილებას. არ არის ასეთი განწყობები – მე არაფერი ვიცი მათ შესახებ. მე მექნება შეხვედრები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან, ისინი მოსკოვში არიან – ჩვენ სამუშაო შეხვედრები გვექნება ... მაგრამ მე ასეთი განწყობების შესახებ არაფერი მსმენია. ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზი ხალხის არჩევანს დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებით. ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მათი ხალხების მიერ არჩეული კურსის რეალიზებაში“.

ამ დღეებში იქნება ახალი რეფერენდუმი – კანონიერად წოდებული სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთი შეუერთდება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთს. ჩვენ კი მერე ვიტყვით: არა უშავს, დიდი ამბავი...

სერგეი ლავროვის მიერ ნახსენები შეხვედრა პარასკევს, მართლაც, შედგა მოსკოვში, რომელზეც ვიაჩესლავ ჩირიკბა და დავით სანაკოევი რუსეთის საგარეო უწყებამ დააჯილდოვა მის წიაღში არსებული უმაღლესი ჯილდოთი „საერთაშორისო თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის“. მოსკოვის, ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები მედიასთან შეხვედრაზე ერთად წარდგნენ, სადაც სერგეი ლავროვმა გააკეთა განცხადება, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო კონსულტაციათა 2014-2015 წლის გეგმებს. ითქვა, რომ საერთაშორისო სარბიელისთვის გამიზნული თანამშრომლობის გეგმები, უპირველეს ყოვლისა, შეეხება რეგიონალურ პრობლემატიკას, საგარეო კონტაქტებს და საკითხებს, რომლებიც აღელვებს კავკასიის რეგიონს, თუმცა, სამეულის ერთობლივ ბრიფინგზე აღარ გაკეთებულა განცხადებები ყირიმის მიბაძვასთან დაკავშირებით.

აფხაზეთისგან განსხვავებით, რუსეთთან მიერთების იდეას არცთუ ცოტა მომხრე ჰყავს ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც ამ საკითხზე რეფერენდუმი ორჯერ ჩატარდა: პირველი – 1992 წელს, ხოლო მეორე – 2006 წელს.

კიდევ ერთი რეფერენდუმის საფრთხის საკითხი 10 აპრილს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის სხდომაზეც წამოიჭრა. სხდომაზე, სადაც რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე მსჯელობდნენ, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელმა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა გააფრთხილა კოლეგები, რომ რუსეთი არ გაჩერდება:

დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში წავა ვაჭრობა ამითი, რომ თუ არ მოიქცევი ჭკუით, ჩვენ ამ რეგიონებს მივიერთებთ. ასეთი რამ ძალიან დამახასიათებელია რუსეთისთვის. ეს სტილია მისი...

„ამ დღეებში იქნება ახალი რეფერენდუმი - კანონიერად წოდებული სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთი შეუერთდება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთს. ჩვენ კი მერე ვიტყვით: არა უშავს, დიდი ამბავი – საქართველომ ამჯერად უკვე სამუდამოდ დაკარგა თავისი რეგიონი, რადგანაც რუსეთისთვის ჯერ არავის არაფერი არასოდეს არ წაურთმევია“.

რუსეთთან მიერთების სურვილით ე.წ. სამხრეთ ოსეთში კიდევ ერთი, რიგით მესამე, რეფერენდუმის ჩატარებაზე ლაპარაკი წლის დასაწყისში პოლიტიკური პარტია „ედინაია ოსეტიას“ თაოსნობით დაიწყო და, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ამ ლაპარაკმა გარკვეული აქტუალურობა, მართლაც, შეიძინა, თუმცა, ამას მოსკოვის მხრიდან აქტიური შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია.

პოლიტოლოგ თორნიკე შარაშენიძისთვის ცხადია და ის ამას ჩვენთან საუბრისასაც აღნიშნავს, რომ მოსკოვში საქართველოს ამ ორი რეგიონის მიერთების საკითხს სერიოზულად არ განიხილავენ, თუმცა, ეს საკითხი სამომავლოდ სავაჭრო თემად იქნება გამოყენებული:

„დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში წავა ვაჭრობა, რომ თუ არ მოიქცევი ჭკუით, ჩვენ ამ რეგიონებს მივიერთებთ. ასეთი რამ ძალიან დამახასიათებელია რუსეთისთვის. ეს სტილია მისი“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უმნიშვნელოდ მიიჩნევენ, თუ რას იფიქრებს და იტყვის სერგეი ლავროვი უკანონო რეფერენდუმების გამართვასთან დაკავშირებით. როგორც მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი აღნიშნავს, მთავარია, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით სარგებლობს.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

ჭორო, საიდან მოდიხარ!

ამზადებენ თუ არა საქართველოში მოხალისეებს უკრაინაში საბრძოლველად?

„რუსეთის პროპაგანდისტულ მანქანას არ სჭირდება რაიმე რაციონალური საფუძვლები, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების აბსურდული განცხადებები მათ საქმეს უიოლებს“, – განაცხადა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა გიგა ბოკერიამ, რომელმაც აბსურდული დეზინფორმაცია უწოდა უკრაინის ფედერალიზაციის მომხრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ნაციონალისტების გადაბირების თაობაზე რუსული მედიით გავრცელებულ ცნობას.

თავდაპირველად გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, რაც დღეს რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმაც აიტაცეს, მოხალისეთა შეკრების ორგანიზებას, უკრაინაში რუსი აქტივისტების წინააღმდეგ სამხედრო ქმედებებში მონაწილეობისთვის, ფინეთში მყოფი, საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის ხელმძღვანელი გოჩა ბახია ახორციელებს. მოხალისეთა დაფინანსებას ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახორციელებენ, – წერს გამოცემა ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით. ბოლო ხანს უკრაინაში განვითარებული მოვლენების კონტექსტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელმა ნეგატიურად რამდენჯერმე გაიჟღერა.

აპრილის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გააფრთხილა მოსახლეობა საქართველოში ევრომაიდნის მსგავსი მოვლენების განმეორების შესახებ. მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გაზეთ „პრაიმ-ტაიმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს მოაწყოს დესტაბილიზაცია და დაამხოს ხელისუფლება. მინისტრის თქმით, მიზნის მისაღწევად ოპოზიცია უკრაინაში განვითარებული მოვლენების საქართველოში გადმოტანას და ევრომაიდნის მოწყობას გეგმავს, რისთვისაც უკრაინიდან უკვე ჩამოიყვანეს ევრომაიდნის აქტივისტები და შეისყიდეს საბურავები.

კრემლთან დაახლოებული მედიასაშუალებების გმირად იქცა, პოლიტპატიმრის სტატუსით 2013 წლის იანვარში ციხიდან გათავისუფლებული პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი, რომლის თანახმად, სნაიპერები, რომლებიც კიევის მაიდანზე ადამიანებს ესროდნენ, თურმე საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი დაქვემდებარებული პირები იყვნენ.

„აქციებში ოთხი ქართველი სნაიპერი მონაწილეობდა, რომლებიც იქ „ნაციონალების“ უშუალო მითითებით იმყოფებოდნენ. იმ ოთხი ადამიანის ვინაობა ჩემთვის ზუსტად არის ცნობილი, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი დასახელება არ შემიძლია. ძიების მასალები ორი კვირის შემდეგ გადაიგზავნება პროკურატურაში“, – აცხადებდა წითელაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირაც გავიდა და ოთხიც, უცნობია, რა „ძიების მასალებზე“ საუბრობდა წითელაშვილი და დაიკითხა თუ არა იგი პროკურატურაში. მეტიც, საკუთარი ვარაუდის გასამყარებლად დღემდე არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია არც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც „საბურავების“ თემაზე დეპუტატებთან მისვლას არც დახურულ სხდომაზე არ აპირებს. გიგა ბოკერიას სწორედ ასეთი ვითარება აქვს მხედველობაში, როცა აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და მისი მომხრეების „აბსურდული განცხადებები უკრაინის კონტექსტში საქმეს უიოლებს რუსულ პროპაგანდისტულ მანქანას“. თუმცა, განსხვავებული მოსაზრება აქვს ამ საკითხზე საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობას. როგორც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა აღნიშნა რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში, „მინისტრის განცხადება იყო პრევენციული ხასიათისა და მან თავის როლი შეასრულა.“ რაც შეეხება დეზინფორმაციას, თითქოს უკრაინაში საბრძოლველად საქართველოში ნაციონალისტების გადაბირება ხდებოდეს, – სესიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ეს რუსეთის მიერ შორსგამიზნული პოლიტიკური გეგმის შემადგენელი ნაწილი იყოს.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

ალიან-ჩალიანი

მგონია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ ცოლ-ქმრის ურთიერთობა აქვს

ამის შესახებ საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორმა კახი კახიშვილი პრესკონფერენციაზე განაცხადა. კახიშვილი პრემიერის მიერ წინასაარჩევნოდ მორატორიუმის გამოცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მორატორიუმი სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება.

„რეალურად რომ შევაფასოთ რაც ხდება, რაღაც ისე მეჩვენება, ცოლ-ქმრის ურთიერთობა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“, ზოგჯერ რომ ჩხუბობენ და ძირითადი დრო რომ მაინც ერთმანეთის ფერებაში არიან და უერთმანეთოდ არ შეუძლიათ, ასეთ სიტუაციას მაგონებს. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, საერთოდ გაუგებარია, რას ნიშნავს მორატორიუმი. იმიტომ რომ, თუ არის აუცილებლობა კონკრეტული სამართლებრივი საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა, როგორ შეიძლება ამის გადავადება და თუ შეიძლება გადავადება, ესე იგი აუცილებლობა არ იყო. მორატორიუმი იმაზე, რომ ქათმის ქურდი რამდენიც გინდა იმდენი დაიჭირე და ბიუჯეტის ქურდი არ დაიჭირო, იმიტომ, რომ მორატორიუმი გვაქვს, სამართლებრივად არც ერთ ჩარჩოში არ ჯდება. თუ საუბარი იმაზეა, რომ პოლიტიკური შერჩევითობა არ უნდა იყოს, ისედაც არ უნდა ყოფილიყო, სულ რომ არჩევნები არ იყოს, – აცხადებს კახიშვილი.

ინტერპრესი

სახელმწიფო ბანკი და ნაციონალების ავადმყოფური მოჩვენებანი

ეს ბანკი ინფრასტრუქტურულ პროექტებს დააფინანსებს. ამიხსენით, ამ ბანკს კორუფციასთან და ნეპოტიზმთან რა კავშირი უნდა ჰქონდეს? მაშინ, კომერციული და ეროვნული ბანკიც რაღაცას უნდა დავუკავშიროთ. ეს ავადმყოფური იდეაფიქსებია, რომ მოსახლეობა რაღაცით შეაშინონ

მთავრობამ „საქართველოს სუვერენული ფონდის“ დაფუძნება გადაიფიქრა. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სუვერენული ფონდის შექმნას ითვალისწინებდა, მთავრობას პარლამენტიდან უკან გააქვს. საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტიდან გამოთხოვის გადაწყვეტილება მთავრობამ უკვე მიიღო. საფონდო ინიციატივას სახელმწიფო ბანკის — „საქართველოს განვითარების ბანკის“ შექმნის გეგმა ცვლის. ბანკთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი კი, პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

როგორც კი ე.წ. სახელმწიფო ბანკის იდეა გაჩნდა, ექსპერტები მაშინვე ალაპარაკდნენ, რომ სუვერენულ ფონდს ამოქმედება არ ეწერა. ისინი პროგნოზირებდნენ, რომ მალე მთავრობა კანონპროექტს უკან გაიწვევდა. რამდენიმე კვირის შემდეგ მათი ვარაუდი გამართლდა.

„სააქციო საზოგადოება — საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ“ კანონპროექტი მთავრობამ პარლამენტს 2013 წლის დეკემბერში წარუდგინა, თუმცა, მისი განხილვის პროცესი პარლამენტში აღარც დაწყებულა. ფონდის მიზანი იყო მომგებიანი საინვესტიციო პროექტების განვითარება და ხელშეწყობა, მომგებიან პროექტებში კერძო ინვესტიციების მოზიდვა. ფონდის აქციათა 100%-ის მფლობელი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო და მის კაპიტალში გადადიოდა საპარტნიორო ფონდში არსებული სახელმწიფო აქციები: „საქართველოს რკინიგზა“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, „თელასი“. აღნიშნული პაკეტი ასევე ითვალისწინებდა „საპარტნიორო ფონდის“ „სტრატეგიული განვითარების ფონდად“ გარდაქმნას, რომელიც სუვერენული ფონდის შვილობილ საწარმოდ ყალიბდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სუვერენულ ფონდს „საქართველოს განვითარების ბანკი“ ჩაანაცვლებს, რომელიც თავისი იდეით და ფუნქციებით სწორედ რომ ფონდის ტიპის ორგანიზაცია იქნება. მთავრობის ამ ახალ ინიციატივას ექსპერტები სიფრთხილით ეკიდებიან. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს და მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბანკების გამოცდილებაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

სახელმწიფო ბანკების შექმნის ისტორია, ძირითადად, დაკავშირებულია არსებული თუ ყოფილი სოციალისტური ტიპის ქვეყნებთან, ასევე ქვეყნებთან, რომლებიც თავის დროზე ფლობდნენ სახელმწიფო საწარმოებს, ეტაპობრივად ახდენდნენ მათ პრივატიზებას და დღესაც შერჩენილი აქვთ რამდენიმე ბანკი საკუთრებაში, თუმცა, მათი წილი ბაზარზე საკმაოდ მცირეა. მოქმედი სოციალისტური ტიპის ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთი, რომლის 4 დიდი ბანკიდან 3 ბანკს სახელმწიფო ფლობს (Bank of China, ICBC, Agricultural bank of china); ყოფილი სოციალისტური ტიპის ქვეყნებიდან — რუსეთი („სბერბანკს“ — ერთ-ერთ უდიდეს ბანკს — ფლობს რუსეთის ცენტრალური ბანკი); გარდამავალი ტიპის ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი მაგალითია თურქეთი (ფლობს სამ ბანკს, რომლებიც შექმნილია მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე არსებულ პერიოდში და მათი განსახელმწიფოებრიობა ჯერ არ მომხდარა).

„მსგავსი ბანკის შექმნის ოფიციალური მიზანია ქვეყანაში საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდის უკეთესო მაჩვენებლების მიღება, დასაქმების პრობლემის გადაჭრა, რაც, უდავოდ, მისასალმებელია, მაგრამ არის ეს სწორი გზა და ფორმა ამ მიზნების მისაღწევად? ზოგადად, ასეთი ბანკის (ფონდის)შექმნა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკთან, რისი აცილებაც და პრევენციაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ და საზოგადოებამ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ არის ისეთი სახის დემოკრატიის ქვეყანა როგორიც, მაგალითად, გერმანია ან ავსტრიაა. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობისა და მონიტორინგის დონე საქართველოში არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ამ ქვეყნებში, ბუნებრივია, ასეთი რისკები ერთიორად იზრდება“, — აცხადებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე.

ბანკის ფუნქციებთან დაკავშირებით — „საქართველოს განვითარების ბანკის შესახებ“ კანონპროექტი უკვე მომზადდა, რომლის ინიცირებაც პარლამენტში უკვე მოხდა.

მთავრობის მიერ მომზადებული პროექტით, განვითარების ბანკს დამოუკიდებლობის ბალანსი აქვს და ის უფლებამოსილია, კომერციულ ბანკსა და სახელმწიფო ხაზინაში ანგარიშები ჰქონდეს.

ინიციატივით, საქართველოს განვითარების ბანკს სახელმწიფოს გარდა, შესაძლებელია აქციონერების სახით, სხვა პირებიც ჰყავდეს, რომელთა კუთვნილი აქციების ჯამური ოდენობა 49 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ცვლილებების თანახმად, განვითარების ბანკის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს — საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, განვითარების ბანკის გაუნაწილებელი მოგება, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული გრანტები, სახელმწიფო გარანტიებით მიღებული სესხები და დამფუძნებლის შენატანი განვითარების ბანკის კაპიტალში.

კანონპროექტის გათვალისწინებით, განვითარების ბანკის მიზანია, ბაზრის ჩავარდნის გამოსავლენად ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზი, კერძო საფინანსო ინსტიტუტებისთვის ნაკლებად მიმზიდველი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფა. ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელება და შეფერხებული და მიმდინარე პროექტების დასრულებისთვის ხელის შეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება ან დაფინანსება.

ამას გარდა, ბანკის მიზანია, ეკონომიკის რეალური სექტორისთვის გრძელვადიანი ფინანსური რეურსების შექმნა და მათ წვდომაზე ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება განვითარების ბანკის ფუნქციებს, პროექტის მიხედვით, ბანკს შეუძლია — სესხების გაცემა კომერციული ბანკების მეშვეობით, გარანტიების გაცემა, დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციები, საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ბანკის ფუნქციებში შედის — საინვესტიციო პროგრამებში პირდაპირი ან ვალდებულებითი მონაწილეობა და იჯარის, სალიზინგო ოპერაციები.

კანონპროექტის თანახმად, განვითარების ბანკს დეპოზიტების მიღება და ანგარიშსწორების მომსახურების განხორციელება ეკრძალება.

მთავრობის ინიციატივით, განვითარების ბანკის უფლებამოსილი ორგანოა — სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაც 7-11 წევრით განისაზღვრება.

პროექტით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრია და საბჭოში მის გარდა, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებიც შედიან, საბჭოს დანარჩენი წევრები კი ბანკის წესდებით მტკიცდება.

ცვლილებებით, ბანკის პრეზიდენტს 7 წლის ვადით ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს, რომელსაც თავის მხრივ, კანდიდატურას პრემიერ-მინისტრი წარუდგენს.

აღსანიშნავია, რომ განვითარების ბანკის კანონპროექტს თან გარდამავალი დებულებები ერთვის, რომელიც ბანკის დაფუძნების მექანიზმებს განსაზღვრავს.

კერძოდ, გარდამავალი დებულების თანახმად, მთავრობამ კანონის მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობის განსაზღვრა უნდა უზრუნველყოს. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ასევე იმ აქტივების განსაზღვრა უნდა განახორციელოს, რითაც ბანკის დაფუძნების კაპიტალის შევსება მოხდება.

ამას გარდა, გარდამავალი დებულებით, ეკონომიკის სამინისტრომ კანონის ამოქმედებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაციის დასრულება და ბანკის დაფუძნება უნდა უზრუნველყოს. ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრომ განვითარების ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებით, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოამზადოს.

საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნული ინიციატივის განხილვა მომავალ კვირას დაიწყება, მაგრამ პროექტს შეფასებები პოლიტიკურ წრეებში უკვე მოჰყვა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე მიიჩნევს, რომ პროექტის ამ ფორმით წარდგენა დიდი „მავნებლობაა“.

„ეს არის შეთქმულება საბანკო სექტორის წინააღმდეგ, რომელიც ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი ხერხემალია. აღნიშნული პროექტი კერძო ბანკებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის და ამასთანავე, ეს ბანკი იქნება „ჩაწყობის“ და ნეპოტიზმის ერთ-ერთი წყარო. ეს ცვლილება არის უკან გადადგმული ნაბიჯი“, — განუცხადა for.ge-ს ბარამიძემ, რომლის პოზიციასაც არ იზიარებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

დავით ონოფრიშვილი ირწმუნება, რომ მსგავსი ბანკები ბევრ ქვეყანაში არსებობს, რომელებიც წარმატებით საქმიანობენ.

დეპუტატის განცხადებით, განვითარების ბანკი სახელმწიფოებრივ პროექტებზე იმუშავებს და კერძო ბანკებთან კონკურენციაში არ შევა.

„ეს ბანკი ინფრასტრუქტურულ პროექტებს დააფინანსებს. ახალი „ველოსიპედი“ არ იქმნება და ნაციონალებს ხალხში შიშის დათესვა სურთ, რომ თითქოს პრობლემებია და ა.შ. ამიხსენით, ამ ბანკს კორუფციასთან და ნეპოტიზმთან რა კავშირი უნდა ჰქონდეს? მაშინ, კომერციული და ეროვნული ბანკიც რაღაცას უნდა დავუკავშიროთ. ეს ავადმყოფური იდეაფიქსებია, რომ მოსახლეობა რაღაცით შეაშინონ“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

ახალი პროექტი პირველი მოსმენით სავარაუდოდ, 30 აპრილის პლენარულ სხდომაზე გავა. თუ ვინ გახდება განვითარების ბანკის პრეზიდენტი, ამის თაობაზე მმართველ გუნდში არ საუბრობენ, თუმცა, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბანკის პრეზიდენტად დავით საგანელიძე მოიაზრება.

თეონა მანაგაძე,
გეძა დანელია

◎ კონფლიქტის ზონა

ხუთი ქართველის ნაცვლად ერთ ტერორისტს ითხოვენ

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, ე.წ. საზღვრის დამრღვევების გარდა, ცხინვალის ციხეში კიდევ 5 ქართველი იმყოფება.

როგორც ზაქარეიშვილი აცხადებს, მათი გათავისუფლების სანაცვლოდ დე ფაქტო ხელისუფლება გორის ტერაქტში მხილებული პირების გათავისუფლებას ითხოვს.

— ცხინვალის ციხეში ე.წ. საზღვრის დამრღვევების გარდა კიდევ ხუთი ქართველი იმყოფება. რამდენიმე დღის წინ ორმა მათგანმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში დარეკა, რამაც ოსური მხარე გაანაწყენა — მათ რატომღაც მიიჩნიეს, რომ ეს ჩემი ინიციატივით მოხდა, არადა, არაფერი ვიცოდი. ეს ბატონები არიან მიდელაშვილი და ხუროშვილი. დანარჩენების გვარებს ვერ გეტყვით, რადგან მათი ოჯახის წევრების ნებართვა არ მაქვს. ოსური მხარე მიდელაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვს საქართველოს ციხეში მყოფი ოსი პატიმრების გათავისუფლებას, რაც ადვილი არ არის — ისინი გორის ტერაქტში არიან მხილებული და უვადო პატიმრობა აქვთ მისჯილი. ჩვენ მოვახერხეთ ცხინვალის ციხიდან პატიმარ ჯერაპოვის გამოყვანა. მას ყველაზე გრძელვადიანი სასჯელი — 13 წელი ჰქონდა მისჯილი, თუმცა, ქართული მედია ამ ფაქტს არ გამოხმაურებია, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი. ამასთან, მინისტრის განმარტებით, ამ ხუთ პატიმარზე მათ ოსურ მხარესთან გამუდმებით აქვთ მოლაპარაკება და აღნიშნულის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც იციან.

ინტერპრესი

◎ სამთავრობო „კარუსელი“

სპეკულაცია, ჭორი თუ რეალობა?

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სამთავრობო „კარუსელი“ დატრიალდება. მინისტრის პორტფელს, შესაძლოა, ოთხი მინისტრი დაემშვიდობოს. როგორც საპარლამენტო კულუარებში აცხადებენ, პოსტების დატოვება, სავარაუდოდ, ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას და განათლების მინისტრ თამარ სანიკიძეს მოუწევთ.

თავად პრემიერ-მინისტრი მთავრობაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ გახშირებულ საუბრებს „სპეკულაციას“ უწოდებს და ჭორების „აგორებაში“ „ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებს, მაგრამ საპარლამენტო კულუარებში ირაკლი ღარიბაშვილსა და მინისტრებს შორის არსებულ უკმაყოფილებაზე აპელირებენ.

წყაროც ცნობით, პრემიერი განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნული მინისტრების მუშაობით არის უკმაყოფილო. რამდენიმე დღის წინათ კი, ღარიბაშვილის კრიტიკა ხადურს სამინისტროს მიერ მენიუს გამოქვეყნების გამოც დაუმსახურებია.

„პრემიერი ხადურის მუშაობით უკმაყოფილია. ღარიბაშვილი განსაკუთრებით მენიუს გამოქვეყნებამ გააღიზიანა და ხადურს ჰკითხა — ფინანსთა სამინისტროს ჰყავს თუ არა პრესსამსახური და თუ ჰყავს, მენიუ როგორ გამოაქვეყნეს?“, — განუცხადა for.ge-ს ერთ-ერთმა დეპუტატმა.

ირაკლი ღარიბაშვილს თეა წულუკიანთან თუ რა პრეტენზიები აქვს, ამას პარლამენტში არ აკონკრეტებენ, მაგრამ ამბობენ, რომ პრემიერს იუსტიციის მინისტრი „გულზე არ ეხატება“, ისევე როგორც მის წინამორბედს ბიძინა ივანიშვილს.

საკანონმდებლო ორგანოში პოსტიდან თამარ სანიკიძის გათავისუფლებაზეც საუბრობენ და ამბობენ, რომ განათლების მინისტრის შემთხვევაში, მინისტრთა კაბინეტიდან მისი გაშვების ერთ-ერთი მოტივი გიორგი მარგველაშვილია, რომელმაც საკუთარ „მემკვიდრედ“ სანიკიძე დატოვა.

რაც შეეხება გურამ ოდიშარიას, მინისტრი შვებულებიდან უკვე დაბრუნდა და საქმიანობასაც შეუდგა, მაგრამ მას პრემიერმა საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით სპეკულაციების დასრულება და პრობლემის სასწრაფოდ გადაწყვეტა მოსთხოვა.

გურამ ოდიშარიას მსგავსად, მისი კოლეგები პრობლემებს მოაგვარებენ, თუ, მინისტრის სავარძლებს დატოვებენ, ეს ცნობილი 15 ივნისის არჩევნების შემდეგ გახდება, მაგრამ თავად მინისტრები მოსალოდნელი „კარუსელის“ შესახებ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის მტკიცებით, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებზე საუბარი არ ყოფილა, არ არის და ის ვიღაცის მიერ შემოგდებული თემაა. თამარ სანიკიძის თქმით, როდესაც, პრემიერს მათი გაფრთხილება უნდა, მათ არ ერიდება და აფრთხილებს. ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო კი მიიჩნევს, რომ მინისტრთა კაბინეტში ცვლილებების არანაირი საჭიროება არ არის, რადგან მინისტრები ეფექტურად მუშაობენ.

მინისტრებისგან განსხვავებით, ქართველი კანონმდებლები სამთავრობო ცვლილებებს მიესალმებიან და ამბობენ, რომ კადრების განახლების მომხრენი არიან.

როგორც for.ge-ს უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განუცხადა, სამთავრობო ცვლილებებზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ მინისტრები სავარძლებს დიდი ხნის მანძილზე არ უნდა იკავებდნენ.

მისი თქმით, პრემიერი მინისტრების მინუსებს თავად უფრო დეტალურად ხედავს და გადაწყვეტილებას თავად მიიღებს.

„ეს ინფორმაციები საიდან მოდის, არ ვიცი, მაგრამ ზოგადად, მინისტრთა კაბინეტის განახლების მომხრე ვარ. ერთი და იმავე ადამიანი ერთსა და იმავე მინისტრის სავარძელში არ უნდა იყოს, რადგან მათ სტერეოტიპები უყალიბდებათ. ეს მთავრობის ამ შემადგენლობას არ ეხება, რადგან ახლები არიან. წულუკიანზე როგორ შეიძლება რამე ვთქვა, ის მოვალეობას კარგად ასრულებს და ჩანაცვლებას არ საჭიროებს, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ მინისტრებთან პრეტენზიები არ მქონდეს. პრეტენზია ყველა სამინისტროსთან მაქვს და ამის თაობაზე მათ პირადად ვესაუბრები“, — აღნიშნავს საგანელიძე, რომლის მსგავსად სამთავრობო კარუსელის შესახებ არაფერი სმენია პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ჰაერში გამოკიდებული კვარტეტი

ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, სამთავრობო ცვლილებების თაობაზე გადწყვეტილება პრემიერმა უნდა მიიღოს.

„ამ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა. ჩემს სფეროს თავდაცვა და შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს, რომლებიც კარგად მუშაობენ, მნიშვნელოვან და ღირებულ რეფორმებს ატარებენ. შენიშვნის გარეშე, ზოგადად, არცერთი უწყება არ რჩება, მაგრამ მთავრობაში ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს, თვითკმაყოფილები არ ვართ და მეტი რომ გვინდა, ეს ბუნებრივია“, — განუცხადა for.ge-ს სესიაშვილმა.

სამთავრობო ცვლილებების აუცილებლობას ვერ ხედავს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრის საქმიანობას დადებითად აფასებს.

ვიქტორ დოლიძის მოსაზრებით, წულუკიანის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანა შეცვალა.

„წულუკიანის მუშაობის ნაყოფიერებაზე საუბარი ზედმეტია. კარუსელის აუცილებლობას ვერ ვხედავ. შეიძლება ვიღაც მეტ-ნაკლებად მოგწონდეს, მაგრამ რომელიმე მინისტრთან განსაკუთრებული პრობლემა არ მაქვს. რომ მქონდეს, — განუცხადა for.ge-ს დოლიძემ.

თვითმმართველობის არჩევნებამდე სამთავრობო ცვლილებებს გამორიცხავს გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი.

კანონმდებლის თქმით, მინისტრების მიერ გაწეული სამუშაოები პრემიერმა, როგორც მენეჯერმა უნდა შეაფასოს.

„არჩევნებამდე რაიმე სახის გადაადგილება დიდი უგნურება იქნება. ხოლო, არჩევნების შემდეგ ვის ემუქრება საფრთხე, ამის თაობაზე პროგნოზს ვერ გავაკეთებ. ის მომწონს, რომ ამ ადამიანებს მუშაობის საშუალებას აძლევენ და სააკაშვილივით 104 მინისტრი თუ მეტი არ შეუცვლიათ. ჩვენი ხელისუფლება მინისტრებს აწინაურებს, წინა მთავრობა კი მათ სასწავლებლად უშვებდა“, — განუცხადა for.ge-ს ცაგარეიშვილმა.

თეონა მანაგაძე

◎ თუ დინამიკას გადავხედავთ

სახელმწიფო ვალის ტენდენციები

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საგარეო ვალების მდგომარეობამ. კერძოდ, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველაზე მაღალი მოცულობის საკრედიტო რესურსის მოზიდვას, 1,6 მლრდ ლარის ოდენობით, საიდანაც 600 მლნ სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით მიღებული სახსრებია, ხოლო 1,2 მლრდ ლარი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გამოსაყოფი საკრედიტო რესურსი.

თუ გადავხედავთ დინამიკას, ნათელი გახდება, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მთლიანი სახელმწიფო ვალის მაჩვენებელს მშპ-სთან მიმართებაში ჰქონდა კლებადი ტენდენცია, თუ არ ჩავთვლით 2009-2010 წლებს, როდესაც ეს მაჩვენებელი ერთბაშად 31 პროცენტიდან 42 პროცენტამდე გაიზარდა, რაც უკავშირდებოდა რუსული აგრესიისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი სტაგნაციის დაძლევისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით მოზიდულ საკრედიტო რესურსებს.

2011 წლიდან მოყოლებული, მთლიან შიდა პროდუქტთან სახელმწიფო ვალის წილობრივ მაჩვენებელს კლებადი ტენდენცია ჰქონდა, თუმცა, ეს ტენდენცია 2014 წლიდან შეიცვლება და 2013 წელს დაგეგმილი 33,2%-დან 2014 წლისათვის 35,2%-ს მიაღწევს. სკეპტიკოსების აზრით, შესაძლოა, ამ პარამეტრის გაუარესება ერთმნიშვნელოვნად ცუდი იყოს, მაგრამ სწორი ეკონომიკური ხედვით, სახელმწიფოს მიერ ვალის აღება სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს განვითარებას, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის — პირიქით, კარგია, მით უმეტეს, თუ ეკონომიკის აქტივობა საკმაოდ შენელებულია და სახელმწიფომ ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს გარკვეული მიმართულებების გააქტიურება. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, თუ რა მიზეზების გამო ხდება ამ მოცულობის სესხების მოზიდვა, რა ვითარებაში და რა მიზნით.

საბიუჯეტო კრედიტებმა აქტუალობა შეიძინა 2009-2010 წლებში, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა კრიზისის დასაძლევად საქართველოს გამოუყვეს მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსი როგორც საგადასახადო შემოსავლებში წარმოქმნილი დეფიციტით გამოწვეული მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, ასევე, უმეტესწილად, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად ჩათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ამავე პერიოდში აქტიურად იქნა გამოყენებული სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გზით მიღებული სახსრების საბიუჯეტო საჭიროებებზე მიმართვაც. თუმცა, ეს ორივე მიმართულება შემდგომ წლებში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2010 წელს საბიუჯეტო კრედიტების მოზიდვითა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით იფარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 14%, ხოლო 2012 წელს — უკვე 2%.

საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრები, თავისი შინაარსის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფოდა: საინვესტიციო კრედიტები და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები. საინვესტიციო კრედიტების მოზიდვის ფაქტი უაღრესად დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ის იძლევა მოკლევადიან პერიოდში ქვეყნისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ აქტივობას და შემდგომ ეკონომიკურ ზრდას.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, საბიუჯეტო კრედიტებისა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით, ბიუჯეტის 11% დაიფარება ასეთი ტიპის რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ბიუჯეტი სოციალური ვალდებულებებით საკმაოდ დატვირთულია და არაპირდაპირ გამოდის, რომ აღებული კრედიტებითა და გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ფინანსდება ბიუჯეტის სოციალური ვალდებულებები, რაც წარმოადგენს ბიუჯეტის მუდმივ და, ამავდროულად, მზარდ ხარჯებს. აუცილებელია, რომ სოციალური ვალდებულებების დაფინანსება უზრუნველყოფილ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადებით და არა კრედიტებით.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- „ექვთიმე თაყაიშვილი საზოგადო მოღვაწე 7.497 მოწონება.
- თამარ ჟვანია საზოგადო მოღვაწე 6.198 მოწონება“

საცაა დაეწევა!

- ისე, ამდენი უტყვი, მაგრამ მეტყველ თვალებიანი ადამიანი, პარლამენტში დეპუტატებად რომ გვყავს, არცერთ საგიჟეთს არ ეყოლება.
- „ოცნებას“ კამერული ორკესტრი ყავდა, ნაცები „ვარსკვლავებს“ აცეკვებენ და ამღერებენ, ედპ და ევროპელი დემოკრატები — მაყვალა ჩიხლაძეს, ლეიბორისტებს ქორწილიდან მოყავთო დამკვრელები.
- შს მინისტრი ესწრება პარტიულ ყრილობას, თუ მომეჩვენა?
- აპრილი პარლამენტის წინ აქციას მართავს! მარტისგან რო ვისესხე ვეღარ ვისტუმრებ, გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტი გამიკეთოს ეროვნულმა მეტეოცენტრმა და ოქტომბერში უეჭველად დავფარავო.
- მილიონი სამუშაო ადგილიდან მილიონ ხემდე!
- მილიონ ხეს რო დარგავს, მერე მილიონი ბავშვების გაკეთებაზე გადავა?
- საინტერესოა, დღეს „ქართული ოცნების“ ყრილობაზე, რამდენი ისეთი ადამიანი იჯდა, ვინც თავის დროზე, იმავე დარბაზში „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზეც იყო...
- იმას ქვევრის გატეხვა არ უნდა, ამას იქედან გამოსვლა, რა ქნას ქეცბაიამ, ვა!
- ჯერ კიდე არაფერი, აი მტკვარს რომ კალაპოტს გაუღრმავებს და მეტეხთან პორტს გააშენებს, მერე ნახეთ თქვენ.
- თბილისში რეალურად დაცული სარეკრეაციო ზონა სასაფლაოებია!

მაგარი ქვეყანაა.

- რატომ არ უბრუნებთ, სახელმწიფოს გამგებლობაში მყოფ ქონებას მეპატრონეებს? — ზატო პატიმრებს არ ცემენ!

რატომ აწინაურებთ მკვლელებს? — ზატო ბაღები გახდა უფასო!

რატომ აშენებთ ჰუდონჰესს და ანგრევინებთ საყდრისს? — ზატო ბიძომ სამება აგვიშენა!

არ გაგონებთ? რატომ აწამებთ პატიმრებს და ქუჩაში გვიხოცავთ ბიჭებს? — ზატო ბიუჯეტი გავზარდეთ 3,14-ჯერ!

არა გვაქს პალტო, პლაში გვაქვს ზატო!

როგორ გავხართ ერთმანეთს, ტო!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

სასწაულია, სასწაული!

ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ სასწაულის შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში საქართველოში ხდებოდა, ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ ერთი ახალი სასწაულის მომსწრენი გავხდებოდით, მაგრამ ფაქტია, რომ გავხდით. როგორც ამ დღეებში შევიტყვეთ, საქართველოდან სამართალს გაქცეული და უცხოეთში თავშეფარებული ექსპრეზიდენტი თურმე ღრმად ჩაფიქრებულა და მიმხვდარა, რომ მრავალი წლის დაძაბული აღმშენებლობითი მოღვაწეობის შემდეგ, შეუძლებელია ხალხს მმართველი ყელში არ ამოუვიდეს. ამიტომაც გადაუწყვეტია, რომ ხალხს მისგან დასვენება სჭირდება და თავი რომ არ მოაბეზროს, საზღვარგარეთ გადახვეწილა.

ამის შესახებ პრეზიდენტყოფილმა, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნაზე (მთლად რომ არ ამოგვეგდო მეხსიერებიდან, საჩუქრად ბიბლიოთეკა დაგვიტოვა!) „სკაიპით“ პირდაპირი ჩართვისას განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ ჩემს ხალხს ჩემგან დასვენება სჭირდებოდა. რაღაც ეტაპზე ადამიანი თავის ყველა უბედურებას მმართველს აბრალებს და ჰგონია, რომ მისი ბედნიერების რეცეპტი პრეზიდენტის სეიფში ინახება. ეს არის მომენტი, როცა უნდა გაეცალო“** — დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

დღენიადაგ ხალხზე ზრუნვით ნაადრევად გაჭაღარავებულ ნაპრეზიდენტალს, როგორც ყოველთვის, წინდახედულმა გონიერებამ არც ამჯერად უმტყუნა და ადამიანებს ყველა თავის გასაჭირი და უბედურება მისთვის რომ არ გადაებრალებინათ (ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობდა!), მომენტი იპოვა და გაეცალა(!). ეს კარგია, მაგრამ ასევე კარგი იქნებოდა, თავიანთი უცვლელი ლიდერისთვის **გიგა ბოკერიას, ნუგზარ წიკლაურს, გიორგი კანდელაკს, ჩიორა თაქთაქიშვილს, ირმა ნადირაშვილს** და სხვებსაც მიებაძათ (ეტყობა, ამათ მომენტი ვერ იპოვეს) და სააკაშვილს უცხოეთში თუ ვერ წაყვებოდნენ, პირები მაინც ამოეკერათ, მაგრამ მათი წუნკალი საქციელისა და გონიერებიდან გამომდინარე, არა მგონია, რომ „ოცნებამ“ ეს ოცნება აიხდინოს.

აი, სულ სხვა საქმეა სააკაშვილის საქციელი, მან ზოგიერთივით კი არ იმაიმუნა და იგოთვერნა (მსგავსი რამ არასოდეს ჩაუდენია და რაღა ახლა იკადრებდა!), ქვეყნიდან იმიტომ ავითესე, ჩადენილი დანაშაულობების გამო პასუხისმგებლობას გავექეციო (არადა ბევრი რატომღაც ასე ფიქრობს), არამედ ხალხი აღმშენებლობითი საქმიანობით გადამეტვირთა და ჩემგან დასვენების შანსი მივეციო.

ყოჩაღ, „მაღალო“! აბა შენს გარდა მსგავს მოწყალობას სხვა რომელი ლიდერი გამოიღებდა?! ერთადერთი, რაშიც ეჭვი შეიძლება შევიტანოთ, ის არის, რომ ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი იმავე აღმშენებლობით საქმიანობისგან (ბოდიში, უნდა მეთქვა, მოღვაწეობისგან) თავად ხომ არ გადაგვეღალა და ამის გამჟღავნებისა მოერიდა?!

ამის საფუძველს იძლევა პრეზიდენტობიდან გაბუნძულების შემდეგ მის მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადებანი. არაო, საკუთარი ქვეყნის შენებაში რა გადამღლიდაო, — გვეტრაბახებოდა მაშინ ჩვეული რიხითა და ამპარტავნობით სააკაშვილი, — ამ მცონარა და უქნარა „მეოცნებეებს“ ცოტაც რომ ეცლიათ, ქართველებს ისეთ აყვავებულ ქვეყანას დავუტოვებდი, რომ თავის დროზე ცხონებულ მიუნჰაუზენსაც კი არ დაესიზმრებოდაო.

ჩვენი ბაქიბუქა და შარახვეტია პრეზიდენტისგან ამას რომ ვისმენდით, უნებურად გვახსენდებოდა შევარდნაძის მმართველობის პერიოდი. მაშინ ხშირად გაიგონებდით, ედუარდ ამბროსოვიჩი დიდად გამოცდილი ლიდერია, მაგრამ ასაკმა უწია, ქვეყანა ძველებურად ვეღარ უძღვება, აჯობებს ქუდი დაიხუროს და პრეზიდენტობას საკუთარი სურვილით გამოემშვიდობოსო. რაც მართალია მართალია, სააკაშვილის მისამართით ასეთ საყვედურს ვერ გაიგებდით. შეიძლება ეთქვათ, ჩვენი პრეზიდენტი შლეგი, გადარეული და დამთხვეულიაო (მსგავს ეპითეტებს თავადაც ისმენდა და არა მგონია, გაუკვირდეს), მაგრამ მიშა დაიღალაო, ასეთი მკრეხელობა, შემიძლია ხატზე დავიფიცო, მისი მოღვაწეობის მთელი 9 წლის მანძილზე არავის წამოსცდენია.

ისე, კაცმა რომ თქვას, იმ დიდი ნაღვაწის დარად, რასაც ჩვენი „მაღალო“ სამშობლოს საკეთილდღეოდ ეწეოდა, გონებრივი გადატვირთვა თუ არა, ფიზიკური გადაღლილობა მაინც რომ შემჩნეოდა, ჩვენ თუ ვერ მივხვდით, თავად მიშას ხომ მაინც უნდა ეგრძნო და აღმენებლობის ტემპი ოდნავ მაინც შეენელებინა? თქვენც არ მომიკვდეთ, სააკაშვილს პირველკაცობიდან წასვლის შემდეგაც არ სურდა გამოტეხილიყო, რომ გადაიღალა და აქეთ გვიკიჟინებდა: — ცოტაც რომ დამცლოდა, ნახავდით რა სასწაულებს მოვახდენდი, ზღაპრულ ლაზიკას თუ ვერ დავასრულებდი, დედაქალაქის გარშემო დაწყებული თავდაცვითი ზღუდეების აგებას მაინც მოვასწრებდი და თბილისს რუსების აგრესიის ამარა არ დავტოვებდიო.

აბა კაცო, სააკაშვილს დაღლამდე მუშაობა რომ არ ვაცალეთ, ახლა ამის გამო რუსებმაც კი იციან, რომ თბილისი დაუცველი დაგვრჩა და იმ შემთხვევაში თუ უკრაინაში შეიჭრნენ, არც საქართველოს დაიხვალიებენ. ვერაფერს იტყვი, ჯერ კიდევ იმ პერიოდისათვის ჩვენმა ფაციფუცა და აჩქარებულმა პრეზიდენტმა ყველაფერი განჭვრიტა, გარდა ერთისა — ვერ გაითვალისწინა, რომ საკუთარი სისულელეებისგან შეიძლება თავად არა, მაგრამ ამ სისულელეების მაყურებელი ხალხი გადაღლილიყო და პეტიცია წაეყენებინა: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შეიძლება მართლაც არ გჭირდებათ დასვენება, მაგრამ მოვიდა დრო, თქვენი სისულელეების და ხუშტურებისგან ჩვენ დავისვენოთ!

მიშამ ჩვენი დასვენება გადაწყვიტა?!

„მაღალო“, შენც ხომ არ დაიღალე?

სააკაშვილი მართალია გვიან, პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ხალხს შეიძლება მოყირჭებოდა მისი სისულელეები და გაცლა ამჯობინა. თუმცა, ამას ერთი გაუგებრობა მაინც მოჰყვა, — ვერავინ გაისიგრძეგანა (მათ შორის თავად სააკაშვილმაც), რა მოხდებოდა საქართველოში მიშას წასვლის შემდეგ. რომელი მიშას შემდეგ? რაღა თქმა უნდა, მიშაში ჩვენი ნეტარპრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი იგულისხმება, რომლის ტახტიდან გადაჯდომის შემდეგ, როგორც ცნობილი ექსპერტები და სოციოლოგები ვარაუდობენ, საზოგადოების ცხოვრება უინტერესო, ერთფეროვანი და ფრიად მოსაწყენი გახდება. წარმოგიდგენიათ, როგორი ხუმარა, ყბედი და თითლიბაზი უნდა იყო პრეზიდენტი კაცი, რომ შენი ავანსცენიდან წასვლის შემდეგ, მშობლიური ქვეყნის მადლიერმა საზოგადოებამ თავი ოდნავადაც არ შეიცოდოს და ეგრერიგად თვალშისაცემად მოიწყინოს.

თუმცა, ეს სრულიად ბუნებრივ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა საკუთარი ძალმოსილების აღზევების წლებში ქარის წისქვილები ამტვრია, ქვეყანაში სასწაული რეფორმები და ექსპერიმენტები ატარა, ვირტუალური სახელმწიფო შექმნა და მშიერ-მწყურვალი ხალხი პიარშოუებითა და საზღვარგარეთული კონცერტებით აპურა, საქართველოში მეორე ამის გამკეთებელი თუ აღარავინ გამოჩნდა (ივანიშვილმა, მაგალითად, თავის მმართველობის მთელ პერიოდში ერთი ტყუილის თქმაც ვერ მოახერხა!), ხალხი დანაღვლიანდება, ცხოვრების ხალისს დაკარგავს და მოიწყენს, აბა რა იქნება!

მოიწყენს თუ არა უსააკაშვილოდ დარჩენილი საქართველო, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია არა იმდენად საქართველოს მოწყენილობა, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო დემოკრატიულ მოძრაობაში მზეჭაბუკ (ახლა უკვე გადაჭაბუკებულ) ლიდერად მოვლენილ, მშობლიურ მიწას მოწყვეტილ სააკაშვილს მელანქოლია და მოწყენილობა არ დაეუფლოს. თუმცა, არა მგონია, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში მყოფმა ქართველმა ლიდერმა, როცა ხედავს, მეზობელ უკრაინელ ხალხს მისი გამოცდილების გაზიარება რარიგად სჭირდება, ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს და მოსაწყენად მოიცალოს. მას დღემდე ვერ მოუნელებია ძველი წყენა, რომელიც მისი სხეულის იმ ნაწილის მოსკოვში გაგზავნას შეეხება, რომლითაც თავის დროზე პუტინი და მედვედევი ასერიგად დაინტერესებულან. სააკაშვილი, როგორც თავად აცხადებს, ამ მოთხოვნას ახლაც დიდი სიამოვნებით შეასრულებს, თუკი ისინი სანაცვლოდ ქვეყანას მათ მიერვე ოკუპირებულ ტერიტორიებს დაუბრუნებენ. ვერ გეტყვით, კომერციული და ზნეობრივი თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულია პრეზიდენტის სხეულის ნაწილებით მტრად მოკიდებულ ქვეყანასთან ვაჭრობა, მაგრამ თავად სააკაშვილი რომ ამას საკუთარ გმირობად აღიქვამს, ეს უკვე მრავლისმეტყველია.

მაგრამ რად გინდა ასეთი გმირობა, თუკი საქართველოსა და სააკაშვილზე საშვილიშვილოდ მტრად გადაკიდებულ პუტინს ოცდამეერთე საუკუნის დემოკრატიისას ვერაფერს შეასმენ. როგორც ვროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზოს სააკაშვილისთვის უთქვამს, თურმე ახლაც, მასთან ყოველ შეხვედრაზე, **„პუტინი მიხეილ სააკაშვილზე იწყებს ლაპარაკს. ამ დროს ის ძალიან აგრესიული ხდება, მოითხოვს ექსპრეზიდენტის დაპატიმრებას, ან კიდევ უფრო უარესს“.**

ჰოდა, საქართველოს მთავრობას თუ არ სურს, პუტინის შეკვეთის აღმსრულებელი გახდეს, საქართველოდან გადახვეწილი სააკაშვილის დევნას, პროკურატურის მიერ მისთვის წაყენებულ სულელურ ბრალდებებსა და პოლიტიკური მოტივით დაპატიმრების იდეას, სამუდამოდ უნდა შეეშვას. როგორც სააკაშვილი აცხადებს, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი ამის თაობაზე **„დიდხანს ესაუბრა ღარიბაშვილს, უთხრა, ეს არ გაეკეთებინა, თორემ მთავრობას ძვირი დაუჯდება. უთხრეს, რომ პირადად ივანიშვილს დაუწესებდნენ სანქციებს, ანგარიშებს დაუყადაღებდნენ და მის ფრანგულ მოქალაქეობას გადახედავდნენ“.**

მარტო ამერიკა არა, სააკაშვილის ნაკეთებ „საგმირო საქმეთა“ პოზიტიურ ნაკვალევს ამ დღეებში ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც გამოეხმაურა: **„როდესაც 2008 წელს საქართველოში რუსეთი შეიჭრა, თქვა მან, მისი ტანკები შუა გზამდე ძლივს მივიდნენ, მისმა დაჟანგულმა რაკეტებმა კი ვერ შეძლეს გამკლავებოდნენ ქართულ შეიარაღებას. მისმა მოძველებულმა ტექნიკამ და ჯარისკაცებმა ვერ შეძლეს შეესრულებინათ ოფიცრების ბრძანებები. ამიტომაც რუსეთის „წითელი არმია“ საქართველოში 2008 წელს დამარცხდა“.**

ა, ბატონო, მიშა რომ ტრაბახობდა, პუტინს სულ კუდით ქვა ვასროლინეო და სასაცილოდ არა გვყოფნიდა, მიდი ახლა და ჩვენი ხელისუფლება დაარწმუნე, რომ სააკაშვილმა თავის უტვინო პოლიტიკის წყალობით რუსეთთან ომი არ წააგო და არც ტერიტორიები დაგვაკარგვინა. ამის მტკიცების პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ ავიღებ, მაგრამ ვიდრე სააკაშვილის მიერ ნაბოძები დასვენებით ვისარგებლებდეთ, ეგებ საქვეყნოდ აღიარებულმა ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა ის მაინც აგვიხსნან, რა ხდება ევროამერიკული დემოკრატიის შენებით აწეწილ-დაწეწილ დღევანდელ მსოფლიოში?!

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

„ქართულ ოცნება“ და „ნაცები“ ერთმანეთს გაურიგდნენ?

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური ძალები „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებულნი არიან, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრმა გია კობახიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მან ბრიფინგი პარტიის საფინანსო-ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელ მამუკა ჩხეიძესთან ერთად გამართა. კობახიძემ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წელს გაწეული საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაზე ისაუბრა.

— კომისიის ანგარიშში რამდენჯერმე ნათლად არის აღნიშნული, რომ აუდიტის სამსახურის საქმიანობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კუთხით ისეთი ხასიათის დარღვევებს შეიცავდა, რომელთა სამართლებრივი შეფასება აუცილებლად სამართალდამცავი ორგანოების მიერ უნდა მომხდარიყო, თუმცა, აღნიშნული მასალები უკვე თითქმის წელიწადია, საქართველოს პარლამენტს პროკურატურისათვის გადაცემული არ აქვს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ „ქართული ოცნების„ ხელისუფლება გარიგებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ამ ურთიერთობამ კომპლექსური ხასიათი შეიძინა. გვაქვს სრული უფლება, ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში პოლიტიკური ინტერესების გარდა, შეიძლება, კორუფციული სქემებიც იკვეთებოდეს, — განაცხადა გია კობახიძემ.

მამუკა ჩხეიძემ, თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს მიმართა და მოითხოვა, განუმარტოს საზოგადოებას, „რატომ იმტვერება ეს მასალები პარლამენტის კანცელარიაში?“

— ვინ დაბლოკა აღნიშნული ანგარიშის დაუყოვნებელი გადაგზავნა საქართველოს პროკურატურაში, რომელიც შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს? ვინ აარიდა შესაძლო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისთვის აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობა? მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შესწავლილ უნდა იქნეს აღნიშნული ეპიზოდი. ანუ, პარლამენტში მოწონებული აუდიტის სამსახურის შემმოწმებელი კომისიის მუშაობა, რომლის მიერ შედგენილი შემოწმების ანგარიში შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რატომ და ვისი ბრალეულობის გამო დარჩა რეაგირების გარეშე, რითაც ბუნებრივი ზიანი მიადგა სახელმწიფო ინტერესებს? — განაცხადა ჩხეიძემ და დასძინა, რომ აღნიშნულ მიმართვას „დემოკრატიული მოძრაობა“ გადააგზავნის როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე მთავარ პროკურატურაში.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზეთი – მოჩვენებითი სახელმწიფო

სიღარიბე, ნანგრევები, ძროხები ქუჩებში და ყველგან არსებული რუსები: საქართველოდან გამოყოფის თითქმის ექვსი წლის შემდეგ აფხაზეთი მოსკოვის პროტექტორატის მიერ მივიწყებული აღმოჩნდა. ასეთი მომავალი ემუქრება ყირიმსაც.

სოხუმის სასტუმროებში უმჯობესია არ შესთავაზოთ ლარი და თავი შეიკავოთ შენიშვნებისგან, რომ ფორმალურად თქვენ საქართველოში იმყოფებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უმალვე ქუჩაში აღმოჩნდებით. უშიშროების ფედერალური სამსახურის მორიგი შემოწმების შემდეგ უმჯობესია, არ იკითხოთ, მუშაობს თუ არა დამოუკიდებელ აფხაზეთში რომელიმე აფხაზური სტრუქტურა. კერძო ბინაშიც კი მეპატრონისგან ყოველდღე გესმის, თუ რა დიდი ბოროტებაა ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო.

ზიზღი გულებში ჩაისახა უკვე დიდი ხანია. კონფლიქტი გამწვავდა გასული საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აფხაზეთი შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ ერთეულად. ეს მცირე დეტალი, რომელიც არსებულ უზარმაზარ იმპერიაში არსებითად არ გეჩვენებოდა, 1991 წელს იქცა სერიოზულ პრობლემად. როდესაც დაინგრა სსრ კავშირი, დამოუკიდებლობის მიღება შეძლეს მხოლოდ მოკავშირე და არა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა.

საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ჩეჩნებს, რომლებიც აფხაზეთის მხარეზე იბრძოდნენ, ხელმძღვანელობდა მოგვიანებით რუსებთან ომის დროს სახელის მომპოვებელი შამილ ბასაევი. ქართველებმა შეძლეს, მოეგოთ კონფლიქტის პირველი ნაწილი და მშვიდობიანი ხელშეკრულებისთვისაც კი მოეწერათ ხელი, რომელიც აფხაზეთს ანიჭებდა გაფართოებულ ავტონომიას, მაგრამ ითვალისწინებდა რესპუბლიკის შენარჩუნებას საქართველოს შემადგენლობაში. შეთანხმება მოქმედებდა სულ ერთი თვის განმავლობაში. აფხაზების მოულოდნელი შემოტევა, რასაც რუსეთი უჭერდა მხარს, ქართველები დააბნია და ისინი პანიკით გარბოდნენ რეგიონიდან. აფხაზეთი გახდა დამოუკიდებელი თბილისისგან, გააძლიერა თავისი დამოკიდებულება მოსკოვზე. პროცესის ფინალი დადგა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველომ რუსეთთან ხანმოკლე ომი წააგო.

ახალი მხოლოდ დროშაა

ომარ ხაშბა, ადგილობრივი ბიზნესმენის და რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაცნობი, დამოუკიდებლობაში პლუსებს ვერ ხედავს. „აქ ყოველივე მოჩვენებითია, – იქნევს იგი ხელს და წრუპავს პატარა ფინჯანიდან ყავას. – ჩვენ გვაქვს ჩვენი ვალუტა, თუმცა, იგი არავის უნახავს; გვაქვს ჩვენი პასპორტები, მაგრამ ამ პასპორტებით მხოლოდ რუსეთში შეიძლება წასვლა; გვყავს ჩვენი არმია, მაგრამ საკუთარი უსაფრთხოების გულისთვის მას ურჩევნია არ გამოვიდეს ყაზარმებიდან“, – განმარტავს იგი და სულ უფრო და უფრო აღგზნებული ხდება.

კვირა საღამო ზღვისპირა ბულვარში. ახლოა სოხუმის ნავსადგური. მკვდარი, როგორც ყველაფერი აფხაზეთში. „ქართული ფლოტი სოხუმისკენ მიმავალ ყველა ხომალდს კონტრაბანდისტულად მიიჩნევს და ბლოკავს მას უკვე ზღვაში“,– განმარტავს ომარი. მახლობლად რესტორანში ვიღაცის დაბადების დღეს აღნიშნავენ. დიდი საყვირებიდან გაისმის რუსული ჰიტი „დაბადების დღეს გილოცავთ“. რუსულად, როგორც ყველაფერი აქ. ძირძველი აფხაზები აფხაზურად ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ენა ეკუთვნის, როგორც ჩანს, ოფიციალურ დაწესებულებებს, ვიდრე ქუჩას. ბავშვებიც კი სკოლებში მას სწავლობენ მხოლოდ დაწყებით კლასებში. არ ჰყოფნით აფხაზური ენის მასწავლებლები, წიგნები აფხაზურ ენაზე.

ეს წარსულის გადმონაშთია: საბჭოთა ადამიანს შეეძლო, ეცხოვრა კამჩატკაზე ან აფხაზეთში, მაგრამ მას უნდა ეფიქრა და ელაპარაკა რუსულად. ქვეყნის ელიტები გადიოდნენ ერთი და იგივე საკარიერო გზას: კომკავშირიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიამდე. არ არიან გამონაკლისები აფხაზეთის მორიგი პრეზიდენტებიც. ისინი სწავლობდნენ იმპერიის ეპოქაში და აზროვნებენ ისე, როგორც მათ ასწავლეს ახალგაზრდობის დროს. მათთვის უაზრობაა, ცუდად იფიქრონ ან, ღმერთმა ნუ ქნას, თქვან რაიმე საბჭოთა კავშირზე, ახლა კი რუსეთზე. დასავლეთი მათ არ იციან და არც სურთ, რომ იცოდნენ. „რისთვის გვჭირდება დავემგვანოთ დანარჩენ მსოფლიოს? – კითხულობს ან, უფრო ზუსტად, ყვირის სოხუმის ბინის პატრონი ქალბატონი. – შენ შენ სახლში ყველაფერს ისე აკეთებ, როგორც მეზობელი? თუ შენ შენი პრინციპები და წესრიგი გაგაჩნია?“

მაგრამ საქმე ისაა, რომ აფხაზურ სახლში არ არის არც თავისი პრინციპები, არც თავისი წესრიგი. აფხაზური კანონების ნაცვლად – არის რუსული სამართლებრივი სისტემის ასლი. ავტომობილების სარეგისტრაციო ნიშნებიც კი გაკეთებულია რუსული ნიმუშით. აქ რომ დარეკო, უნდა აკრიფო რუსული კოდი +07. პრეზიდენტი რუსული პასპორტით სარგებლობს. ანგარიშგება დამოუკიდებელ აფხაზეთში წარმოებს, რასაკვირველია, რუბლებში, რუსულ ენას კი სახელმწიფოს სტატუსი აქვს. რუსეთელები აგებენ და უკვე ააგეს რვა სამხედრო ბაზა. საზღვარზე რუსი სამხედროები დგანან, მესაზღვრეები, მებაჟეები და უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. მოსკოვმა გასცა პასპორტები, ის იხდის პენსიებს, ინახავს მთავრობასა და სახელმწიფო დაწესებულებებს. ყოველწლიურად რუსეთის ბიუჯეტიდან აქეთ იგზავნება ორი მილიარდი რუბლი, რომელიც უკან დაუბრუნებლად იკარგება სოხუმში.

საქართველოსთან 1992-93 წლების ომი – ეს არის ერთადერთი ელემენტი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთს საზოგადოებას და არის სიამაყის საბაბი. ოღონდ ეს საბაბი აშკარად ყალბია, აფხაზეთმა ხომ საშინლად წააგო ომი. ქართულმა ტანკებმა დაიკავეს სოხუმი სულ რაღაც რამდენიმე დღით. რომ არ ყოფილიყო რუსეთელების მხარდაჭერა, ოცნებები დამოუკიდებლობის ან თუნდაც ავტონომიის შესახებ, უნდა დაგევიწყებინა. მაგრამ ესენია დეტალები, რის შესახებაც არავის არ სურს აქ, რომ გაიხსენოს. საბოლოო შედეგი ძლევამოსილებისა ხომ იყო ის, რის შესახებაც გვახსენებს ასობით სარეკლამო ფარი: ახალგაზრდა, მომღიმარი ჭაბუკები ტანკებზე. მუხლებზე დაცემული და აფხაზური დროშების მეამბორე მამაკაცები, შეიარაღებული სამხედროები, რომლებიც ბავშვებს ეფერებიან...

ქართული მეხუთე კოლონა

საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე ზუგდიდიდან 8 კილომეტრში დგას არაჩვეულებრივი ძეგლი: ლულაგაკვანძული პისტოლეტი. იგი მიმართულია აფხაზეთის მხარისკენ და წარმოადგენს ქართველთა სამშვიდობო განზრახვის სიმბოლოს. ყოველი შემთხვევისთვის ეს მშვიდობიანი განზრახვა შევსებულია ბეტონის სამაგრებითა და ბუნკერით, რომელშიც კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები არიან.

მდინარე ენგურზე ხიდგაღმა იწყება „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი, რომელშიც აფხაზები სჭირდებათ, ალბათ, მხოლოდ დეკორაციისთვის. სასაზღვრო კონტროლის გავლა, რასაც აწარმოებენ რუსეთელები უშიშროების ფედერალური სამსახურიდან, გრძელდება დაახლოებით 40 წუთი. აფხაზები აქ არ არიან. რუსეთი რჩება ერთადერთ თანაფარდობით წერტილად. რწმენა კი მოსკოვზე მითიურ ხასიათს იძენს. აფხაზებს არ სურთ, გაიხსენონ, რომ რუსეთი, როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელი იყო, აიარაღებდა მათ წინააღმდეგ ქართველებს. ისინი არ ცდილობენ, გაიგონ, რომ „თავისუფლება“ აფხაზებს 2008 წელს მოუტანა პირადმა კონფლიქტმა პუტინსა და სააკაშვილს შორის, და არა მოსკოვის სიყვარულმა თვითგამორკვეული ხალხისადმი. როდესაც მოსკოვსა და თბილისში იცვლება განწყობილება, მოლაპარაკებას კი მოაქვს ნაყოფი, აფხაზებს აღარავინ შეეკითხება არაფერს.

ზოგჯერ სურვილი – ხაზგასმით აღნიშნო შენი განსაკუთრებულობა, გროტესკულ ხასიათს იძენს. ქართულ ეროვნულ კერძს ხაჭაპური ეწოდება, ხოლო იგივე აფხაზეთში არის – ხაჭაპურ. აქ ქართველად ყოფნა რთულია. სხვადასხვა შეფასებით, აფხაზეთში ამჟამად დაახლოებით 300 ათასი კაცი ცხოვრობს, აქედან დაახლოებით 200 ათასი ქართველი გაიქცა. თუ ისინი დაბრუნდებიან, მაშინ მთლიანად შეცვლიან რესპუბლიკის ეროვნულ შემადგენლობას, არჩევნების დროს კი აირჩევენ კანდიდატებს, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოსთან შეერთებას, სოხუმი ამას არ დაუშვებს.

დარჩენილი ქართველები აქ წარმოსახული არიან,როგორც პროპაგანდა, როგორც დამოუკიდებელი აფხაზეთის მეხუთე კოლონა. ისინი აქამდე აქ ბევრი არიან: ადგილობრივი სტატისტიკით, ქართულ პასპორტთა მფლობელები – ეს რეგიონის მცხოვრებთა 25 პროცენტია. ისინი ძირითადად სახლობენ სამხრეთში, გალის მიდამოებში. ისინი ვერასოდეს მიიღებენ სამუშაოს ადმინისტრაციის ორგანოებში: გასაუბრებას აწარმოებენ უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები, ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა კი ასეთია: „რას აკეთებდით 1992 და 2008 წლებში?“

იმის მცდელობით, რომ გაექცნენ მოგონებებს, ხალხს უნერგავენ ზიზღს გორბაჩოვისადმი, რომელმაც დაუშვა სსრ კავშირის დაშლა; სააკაშვილისადმი, რომელმაც დაკარგა აფხაზეთი; აფხაზებისადმი, რომლებმაც განდევნეს სხვა ქართველები; ბედისადმი, რამაც ეს ყოველივე წარმოქმნა. გამძვინვარებული, ტკივილით აღსავსე და აშკარა ზიზღით აღვსებული ორივე მხარე უკვე უძლურია, ილაპარაკოს ერთმანეთთან.

ეროვნულ კონფლიქტს ემატება სამუშაოს უქონლობა. ძნელია, მონახო ადამიანი, რომელიც დაბანდებს ფულს ისეთ არასტაბილურ ბიზნესში, როგორიცაა აფხაზეთში. 2009 წელს „ბენეტონს“ სურდა, აქ გაეხსნა თავისი მაღაზია, მაგრამ თბილისის მკაცრი დამარცხებები და დიპლომატიური ზემოქმედებანი სხვა დედაქალაქებიდან აიძულებდნენ მას, უარი ეთქვა ამ იდეაზე. ეს გაკვეთილი ახსოვთ სხვა მსოფლიო მოთამაშეებსაც. სხვათა შორის, სოხუმი დიდად არ ცდილობს ინვესტორების მოზიდვას. აქ არ არის საინვესტიციო შეღავათები, არ არის ზუსტი კანონები და, რაც მთავარია – არ არის სურვილი, ეს შეიცვალოს. ყველაფერი დროებითია, განუსაზღვრელი. წლის პოლიტიკური კვადრატურა: აფხაზებს არ სურთ, იყვნენ რუსეთის ნაწილი და მოითხოვენ დამოუკიდებლობას, მაგრამ მხოლოდ რუსეთს შეუძლია მისი გარანტირება. რუსეთის ჯარების გამოყვანის შემდეგ საქართველო დაიკავებდა რეგიონს რამდენიმე საათში.

აფხაზეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი – სუსტი პოლიტიკოსია, რომელსაც არ გააჩნია ქარიზმა ან გეგმები, რომლებსაც განახორციელებდა. კამერაში იგი რწმენით ლაპარაკობს, თუ როგორი სუვერენული ქვეყანაა აფხაზეთი, მაგრამ ფაქტები ისეთია, რომ იგი აკეთებს მხოლოდ იმას, რაზეც მოსკოვია თანახმა. „ფორმალურად დამოუკიდებელი აფხაზეთი არაფრით განსხვავდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისგან, ან იქნებ მხოლოდ ოდნავად. ეს რაღაც ისეთია, როგორიც თათრეთია“, – გვეუბნება ადგილობრივი პოლიტოლოგი ვლადიმირ კობახია.

დაბრუნდება ოდესმე აფხაზეთი საქართველოში? არასოდეს, ამბობენ აქ ყველანი ერთხმად, განმარტავენ, რომ უკანასკნელი შანსი იყო 1993 წელს. საქართველოს რომ ტანკების ნაცვლად გაეგზავნა მომლაპარაკებლები, აფხაზეთს ამჟამად აუცილებლად ექნებოდა უფრო ფართო ავტონომია. ამჟამად, როდესაც არ არის არც ერთი ოჯახი, სადაც ვინმე არ დაიღუპა, დაიჭრა ან გაექცა ქართველებს, შეთანხმება შეუძლებელია. უკვე ძალიან გვიანაა. უსამართლობის ბალანსის გათანაბრებას უკვე ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს.

POLITYKA

დედამიწის ზურგზე

ძლიერი ტორნადოების იმ სერიის მსხვერპლთა რიცხვი, რომლებიც თავს დაატყდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, 12 კაცამდე გაიზარდა

ტორნადოსგან ყველაზე მეტად დაზარალდა ოკლაჰომას შტატი და არკანზასის შტატში ორი ქალაქი ვილონია და მეიფლაუერი. ამ ქალაქებში გრიგალის შედეგად დაინგრა ბევრი საცხოვრებელი სახლი და საწარმო, ათასობით კაცი უშუქოდ დარჩა. ტორნადომ ასევე გადაუარა ნებრასკას, აიოვასა და მისურის შტატებს.

* * *

ევროკავშირი და აშშ უკრაინის ახალ ხელისუფლებას უკარნახებენ „იანუკოვიჩის მიერ მოპარული ფულის“ მოძებნის საშუალებას

უკრაინის ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა ამერიკელ და ევროპელ სპეციალისტებთან დაგეგმილია 29-30 აპრილისთვის ლონდონში. შეხვედრაზე მათ უამბობენ, თუ როგორ მოძებნონ და მიაღწიონ „იანუკოვიჩის უკანონო აქტივების“ დაბრუნებას.

* * *

სამხრეთი კორეის ჩაძირული ბორნის „სევოლის“ ვიდეოჩანაწერმა, რომელიც ტელეფონით გააკეთეს, დაადასტურა ეკიპაჟის გულგრილობა

აუდიოჩანაწერი ვიდეორგოლისგან, რომელიც გაკეთდა მგზავრის მობილურ ტელეფონზე ბორან „სევოლის“ დაღუპვის დროს, გადაეცა სამხრეთი კორეის ერთ-ერთ ტელეარხს. ჩანაწერზე ადამიანები ამჩნევენ, რომ ბორანი სახიფათოდ გადაიხარა, ისინი ღელავენ და კითხულობენ დამცავი ჟილეტების შესახებ, მაგრამ ეკიპაჟი ყველას ადგილზე დარჩენას სთხოვს.

* * *

საუდის არაბეთში სახიფათო გვირგვინავირუსისგან ას ადამიანზე მეტი დაიღუპა. ავადმყოფობამ ეგვიპტემდე მიაღწია

ვირუსი, რომელიც 2012 წლის შემოდგომაზე აღმოაჩინეს, მოულოდნელად გააქტიურდა ამ თვეში. დაავადების აფეთქების შემდეგ ჰოსპიტალიზებულ იქნა დაახლოებით 150 კაცი, მეფე აბდალამ შეცვალა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. ქვეყანაში გაიხსნა რამდენიმე სამედიცინო ცენტრი, რათა შეაჩერონ ვირუსის გავრცელება. მაგრამ ამ დღეებში ინფექცია აღმოაჩინეს ეგვიპტეშიც.

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ხუთი კონტინენტის ოქროს მედალი“ – ზურაბ წერეთელს

სახელგანთქმული ქართველი მხატვარი-მონუმენტალისტის **ზურაბ წერეთლის** სახელ-დიდებას ერთი უმნიშვნელოვანესი ჯილდოც მიემატა – **21 აპრილს იუნესკოს ფედერალურმა დირექტორმა ირინა დოკოვამ იგი „5 კონტინენტის ოქროს მედლით“ დააჯილდოვა.**

როგორც ირინა დოკოვა აღნიშნავს, **რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, მშვიდობის ელჩი ზურაბ წერეთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა შორის კულტურათა დიალოგის უნარით და განსაკუთრებული და მრავალსახოვანი ინიციატივების რეალიზატორია ხელოვნებაში. იგი დაუღალავად იბრძვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამხატვრო პროცესების ასამაღლებლად!**

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ბატონ ზურაბს მივულოცოთ კიდევ ერთი დიდი აღიარება.

სიყვარულო, ძალსა შენსა!..

ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩვენი ჩანახატი – „ერთი სიყვარულის ისტორია“, რომელსაც მკითხველთა საკმაო გამოხმაურება ჰქონდა. მაინც, რა იყო ამის მიზეზი? ერთ დღეს წიგნის მაღაზიაში შედის ასაკოვანი ქალბატონი და წიგნების თვალიერებისას ირჩევს ცნობილი დრამატურგისა და პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის ახალგამოსულ **„შავ წიგნს“** – უმკაცრეს, დაუნდობელ პუბლიცისტიკას. – ის ღამე ამ წიგნის კითხვაში გავათენე, – მიამბო მაშინ ქალბატონმა თინათინ ბარამიძემ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, – საოცარი გრძნობა გამიჩნდა მისი ავტორისადმი... ერთ დღესაც, ჩემმა ახლო მეგობარმა ლუარა გარდიევიჩმა საუბარს მოაყოლა, დღეს ბატონ კიტა ბუაჩიძეს უნდა შევხვდეო და მეც სულმოუთქმელად ვთხოვე, იქნებ, გამაცნო ბატონი კიტა-მეთქი. გავიცანით ერთმანეთი, შევიტყვე, მასაც გაუჩნდა ჩემდამი სიმპათია, მერე ჩაერივნენ მეგობრები, მაგალითად, ბატონმა გიზო ნიშნიანიძემ ითავა „ხელისმომკიდეობა“ და ასე შევუღლდით ორი მარტოხელა ადამიანი... სიყვარულს, თურმე, მართლა არ სცოდნია ასაკი...

* * *

ბატონი კიტა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, განუხორციელებელი დარჩა დიდი ხნის სურვილი, რომ, როგორმე, დღის სინათლე ეხილა თავის გამოუქვეყნებელ ნაწერებს... ჰოდა, ქალბატონ თინას არ დაუკლია მცდელობა, რათა მწერლის ბოლო სურვილი აესრულებინა... შთაგონების წყარო, რა თქმა უნდა, თვითონ კიტა იყო, თითქოს ყოველივე, მისი კარნახით და უშუალო მონაწილეობით კეთდებოდა. სად არ იარა, ვის არ მიადგა, ვინ არ შეაწუხა... ჰოდა, ამ ძალისხმევის შედეგად, კიტა ბუაჩიძის სამი წიგნი გამოვიდა – „ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე“ (1929-1979 წ.წ.), „სეზანი“, 2003, რედაქტორი – თამაზ კვაჭანტირაძე, სპონსორი – ქალაქის მერი ივანე ზოდელავა, „რჩეული თხზულებანი“, „ეროვნული მწერლობა“, 2009, რედაქტორები – თამაზ კვაჭანტირაძე და ნოდარ ტაბიძე, დამფინანსებელი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი... და აი, მესამე წიგნიც – „პუბლიცისტური ნაწერების კრებული“, რომელიც „უნივერსალმა“ გამოსცა, რედაქტორია ნოდარ ტაბიძე, მხატვარი გოგი წერეთელი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და კომპანია „რივერს თაუერსი“. იგი ეძღვნება კიტა ბუაჩიძის დაბადების 100 წლისთავს.



ზემოაღნიშნული კრებულის გამოსვლას თავის დროზე, გამოეხმაურა ჩვენი გაზეთი, ახლახან გამოსული „პუბლიცისტური ნაწერების კრებულის“ შესახებ კი გეტყვით, რომ მასში თავმოყრილია ბატონი კიტას სხვადასხვა წლებში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები, რაც, შეიძლება, თვალსაჩინო მაგალითი იყოს დამწყები მწერლებისთვის, მათთვის, ვინც აპირებს ლიტერატურული კრიტიკის დარგში მოღვაწეობას, ან აქვს სურვილი, დაეუფლოს პოლემიკის ოსტატობას, რომელიც მათ დიდ სამსახურს გაუწევს „კრებულში“ წარმოდგენილი პოლემიკური ხასიათის წერილები, ბატონი კიტა ხომ პოლემიკის წარმართვის დიდოსტატი იყო.

„კრებული“ შედგება ორი კარისგან: ერთში შესულია გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები, ხოლო მეორეში – გამოუქვეყნებელი პირადი წერილები, აგრეთვე პირად არქივში დაცული დღემდე უცნობი მასალები, რომლებიც მკითხველისთვის, ვფიქრობთ, სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება. ამ მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ კიტა ბუაჩიძე 1956 წლიდან საკავშირო მწერალთა კავშირის წევრი ყოფილა, რომ 1961 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, რომ იგი კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ცნობილი სიმღერის ტექსტის ავტორია (აქვე იბეჭდება მუსიკის ნოტებიც და ტექსტიც: „დავდივარ ღამე ბნელადა, ტურფავ, შენ საძებნელადა“).

მოკლედ, არაჩვეულებრივი კრებულია, რომლის ღირსი დიახაც არის კიტა ბუაჩიძის ნათელი ხსოვნა. ამ ხსოვნას კი, უპირველესად, სიყვარულმა დაუნთო სანთელი... თინათინ ბარამიძე ხანშიშესული ქალბატონია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, თუმცა, უკვე თამამად შეუძლია თქვას, რომ ეს ცხოვრება სიყვარულით გალია!

ეს ხომ ბედნიერებაა!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ არის იდეა!

ქართული ჩაის გადარჩენის პროგრამა მზადაა

ძველ ჩაის ფაბრიკებში დანადგარები განადგურდა და ჯართად ჩაბარდა, პლანტაციები გაველურდა, გადაჯიშდა და მის ადგილზე თხილი და კივი დაირგო – ეს არის საქართველოში მეჩაიეობის დარგში არსებული ბოლო 20 წლის რეალობა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, შესაძლოა, ამ დარგში ვითარება კარდინალურად შეიცვალოს. ამჯერად მთავრობა ჩაის წარმოების განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობს.

მეჩაიეთა ასოციაციის თავმჯდომარის თენგიზ სვანიძის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ასოციაციას დარგის განვითარების პროგრამაზე მუშაობა დაავალა. დოკუმენტი უკვე შემუშავებულია და მისი განხილვა მაისიდან დაიწყება.

სვანიძის თქმით, სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოსგან მეწარმეთა დახმარებას და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას ითვალსწინებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩაის დეფიციტია და ასოციაციაში გაერთიანებულმა 18-მდე საწარმომ ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ 2500 ტონამდე ჩაის წარმოება შეძლო.

არადა, დარგის სრულფასოვანი განვითარების შემთხვევაში, საქართველოს წლიურად 40 ათასი ტონა ჩაის ფოთლის წარმოების პოტენციალი აქვს, რაც 10 ათას ტონა მზა პროდუქტის წარმოების საშუალებას იძლევა.

თავად საქართველო წლიურად 1000 ტონა ჩაის მოიხმარს, ხოლო ადგილობრივი წარმოების პროდუქტს ბაზრის მხოლოდ 18-20% უჭირავს, ისიც ბოლო დროს ბაზარზე ახალი მწარმოებლების გამოჩენის შემდეგ. მანამდე კი ადგილობრივი ჩაის წილი ბაზარზე 10%-ს არ აღემატებოდა. სვანიძე დარწმუნებულია, რომ მეჩაიეობის დარგის განვითარებით საქართველო სრულად შეძლებს იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში მსოფლიოში მეჩაიეობის ახალი პერიოდი დაიწყო, რადგან ჩაიზე მოთხოვნა ძალიან გაიზარდა. მეჩაიეობის კლასიკურმა ქვეყნებმა (ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.) მაქსიმალურად აითვისეს ადგილები, სადაც ჩაის მოყვანა შეიძლებოდა. რაც მთავარია, ჩაის მოყვანა დაიწყეს ისეთმა ქვეყნებმაც, რომლებსაც ამის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ნიადაგი და კლიმატური პირობები საშუალებას იძლეოდა.

ადრე ჩაის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნების სიაში საქართველოც შედიოდა. მსოფლიოს 18 ჩაის მწარმოებელი სახელმწიფოდან ერთადერთი აღმოჩნდა საქართველო, რომელმაც რეაგირება არ მოახდინა მეჩაიეობის ახალ ტენდენციაზე, პირიქით, შეამცირა როგორც ფართობები, ასევე ჩაის წარმოება.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის თამაზ კუნჭულიას ცნობით, თუ 90-იან წლებში მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი 18 ქვეყანა იყო, დღეს – 39-ია. ის ქვეყნებიც დაწინაურდნენ, რომლებიც ჩაის მცირე რაოდენობით მოიხმარენ, მაგალითად, კენია. ამ პროცესებს ყველგან ქვეყნის ხელისუფლება მართავს.

„რა თქმა უნდა, საქართველოში თითო-ოროლა მეწარმე სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გახდება. ძველ ჩაის ფაბრიკებში დანადგარები განადგურდა და ჯართად ჩაბარდა, პლანტაციები გაველურდა, გადაჯიშდა და მის ადგილზე თხილი და კივი დაირგო. ბოლო მონაცემებით, შესაძლებელია 12-15 ათასი ჰექტრის აღდგენა, სადაც ჩაის გაშენება შეიძლება. სხვათა შორის, 1 ჰექტრის გაშენება, სავარაუდოდ, 32 000 ლარი ჯდება.

აუცილებელია ძველი ჩაის ბუჩქების ამოთხრა, ნიადაგი კარგად უნდა დამუშავდეს და ჩაითოხნოს, რადგან წლებია, არ დაბარულა, სასუქიც არავის შეუტანია. საჭიროა კვლევა, რომელიც ბაზრიდან უნდა დაიწყოს და წარმოებამდე მივიდეს“, – აცხადებს თამაზ კუნჭულია.

ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, რაც დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდება, რომლის განხილვაც სულ მალე დაიწყება.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

მეტროსადგურების რემონტით მერიამ საფრთხე შეგვიქმნა

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ნიკოლოზ მჟავანაძე და დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტი გიორგი ნიკოლაიშვილი თბილისის მერიას მეტროპოლიტენის სადგურებში სარემონტო სამუშაოების კანონმდებლობის დარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ მათ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, თბილისის მერიის უშუალო მითითებით მოხდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება ახმეტელის, წერეთლის, ავლაბრის, რუსთაველის და სხვა მეტროსადგურებში ისეთი პლასტმასის შემცველი მასალებით, რომლებიც ხანძრის დროს აალებადია და რომლის გამოყენება აკრძალულია „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ კანონის“ 20-ე მუხლის 2-ე პუნქტით.

– ყოველწლიურად მეტროსადგურებს კაპიტალური რემონტი სჭირდება, რაც სერიოზულ თანხებს მოითხოვს. ფინანსების ეკონომიის მიზნით, სწრაფად და იაფად რამდენიმე მეტროსადგურის გარემონტება მოხდა წვადი და აალებადი მასალით, რითაც კანონიც დაირღვა და მოსახლეობის უსაფრთხოებას პრობლემები შეექმნა. მეტროს - სატრანსპორტოს გარდა, ასევე სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციაც გააჩნია და თუკი წარმოვიდგენთ, რომ მცირე ხანძარი გაუჩნდა იმ მასალას, რითაც გარემონტდა მეტროსადგურები, მარტო ამ მასალის წვით გამოყოფილი მავნე ნივთიერებებით შეიძლება უდიდესი კატასტროფა მივიღოთ, – აღნიშნა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

როგორც „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ აღნიშნა, მეტროსადგურების რემონტის მიღება-ჩაბარების აქტებს აღნიშნული მიზეზების გამო, მაშინდელმა მეტროს შესაბამისმა სპეციალისტებმა ხელი არ მოაწერეს. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხის გამოძიების მოთხოვნით „უფლებადამცველთა გაერთიანება“ პროკურატურაში განცხადებას შეიტანს.

– ჩვენ მოვითხოვთ პროკურატურისგან დაისვას გიგი უგულავას, თბილისის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელი პირებისა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან მათ მოსახლეობა ჩააგდეს ძალიან მძიმე მდგომარეობაში, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ინტერპრესი

◎ წინ, საქართველო!

ვის ჰყავს გუნდი ჩვენისთანა?!

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ ტურნირში ქართველმა ძიუდოისტებმა 1/4 ფინალში ჩეხეთის (5:0), 1/2 ფინალში – საფრანგეთის (3:2), ფინალში კი რუსეთის ეროვნული ნაკრებებში (4;1) დაამარცხეს და ევროპის ჩემპიონობა მეშვიდედ მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები ზედიზედ სამი წელია ევროპის ჩემპიონატის ფინალში რუსეთის ეროვნულ გუნდს ამარცხებს.

კონტინენტის გუნდური ჩემპიონობის მოპოვებამდე ევროპის ძიუდოს კავშირმა გალა-დაჯილდოებაზე საქართველოს ნაკრები 2013 წლის საუკეთესო გუნდად დაასახელა.

2013 წლის ევროპის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი - ვერცხლის ორდენი საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ირაკლი უზნაძეს გადაეცა, ხოლო ბექა ღვინიაშვილი 2013 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტი გახდა.

ევროპის ძიუდოს კავშირმა 2013 წლის ევროპის საუკეთესო ძიუდოისტად ფრანგი ტედი რინერი დაასახელა, ხოლო საუკეთესო ქალი ძიუდოისტის ტიტული კოსოვოელ მაილინდა კელმენდს ერგო.

რაც შეეხება პირად ტურნირს, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა მონპელიეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ინდივიდუალური შეჯიბრი 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედლით დაასრულეს.

ავთანდილ ჭრიკიშვილის (81 კგ) ჩემპიონობის შემდეგ ევროპის ჩემპიონის ტიტული ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) მოიპოვა, მე-2 ვერცხლის მედალი კი ამირან პაპინაშვილის (60 კგ) შემდეგ ადამ ოქრუაშვილის (+100 კგ) ანგარიშზეა.

ლიპარტელიანმა ევროპირველობის ფინალში რუსი კირილ ვოპროსოვი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ოქრუაშვილმა კი ფინალური შეხვედრა უძლეველ ფრანგთან ტედი რინერთან დათმო.

აღსანიშნავია, რომ ლიპარტელიანმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში კარიერაში მეხუთედ იასპარეზა და ოქროს მედალი მეორედ დაიმსახურა (პირველად – 2012 წელს).

ფინალამდე ლიპარტელიანმა 3 მეტოქე დაჯაბნა. პირველ შეხვედრაში მან უკრაინელ ვადიმ სიანავსკის აჯობა, მეოთხედ-ფინალში ლიტველ კაროლის ბაუზასთან ვაზარით აგებდა, როდესაც მეტოქის შებოჭვა მოახერხა, ხოლო ნახევარფინალში უნგრელ კრისტიან ტოტს დამაჯერებლად მოუგო. ოქრუაშვილმა ფინალამდე ავსტრიელი დანიელ ალერსტორფერი იპონით დაამარცხა, ჰოლანდიელ როი მეიერს გაფრთხილებებით და იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში კი გერმანელ ანდრე ბრეიტბარტს სძლია.

იმავე დღეს ბრინაჯოს მედლისათვის იჭიდავა მძიმეწონოსანმა ლევან მატიაშვილმაც, თუმცა ევროპირველობის დებიუტანტმა ახალგაზრდა ძიუდოისტმა საპრიზო ადგილისათვის შეხვედრა გამოცდილ ლიტველთან მარიუს პრასკევიჩიუსთან დათმო. საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ ზვიად გოგოჭური (90 კგ) და გურამ თუშიშვილი (100 კგ).

საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა მონპელიეში 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში ქართველი ძიუდოისტები მხოლოდ მასპინძელ ფრანგებს ჩამორჩნენ, რომელთა მონაგარიც 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

მიზანთან ყველაზე ახლოს მოქმედი ჩემპიონია

ნბა-ს მორიგ საპლეიოფო სერიებში აღმოსავლეთ კონფერენციის ჩემპიონმა „ინდიანა პეისერზმა“ „ატლანტა ჰოუქსთან“ ანგარიში გაიაიმა, უბერებელი ვინს კარტერის მიერ საფინალო სირენასთან ერთად ჩაგდებულმა სამქულიანმა „დალას მავერიქსი“ „სან ანტონიო სპურზთან“ გაიყვანა წინ, მოქმედი ჩემპიონი „მაიამი ჰითი“ „შარლოტ ბობქეთსთან“ 3:0 დაწინაურდა და მიზნამდე ერთი გამარჯვება რჩება, ხოლო „ოკლაჰომა სიტიმ“ ოვერტაიმში „მემფის გრიზლიზს“ აჯობა და ანგარიში 2:2 გახადა.

„ატლანტა“ – „ინდიანა“ 88:91 (22:29, 26:13, 17:24, 23:25),

სერიაში ანგარიშია 2:2.

„დალასი“ – „სან ანტონიო“ 109:108 (27:34, 32:20, 18:20, 32:34),

„დალასი“ იგებს სერიას 2:1,

„ შარლოტი“ – „მაიამი“ 85:98 (27:23, 19:35, 19:28, 20:12),

„მაიამი“ იგებს სერიას 3:0,

„მემფისი“ – „ოკლაჰომა სიტი“ 89:92 ოტ. (18:15, 17:27, 28:16, 9:12),

სერიაში ანგარიშია 2:2.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ალქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატი. II ეტაპი. „გურია“ – „დინამო“ 1:2, „სიონი“ – „ჩიხურა“ 3:2, „მეტალურგი“ – „ზესტაფონი“ 0:1.

* * *

ესპანეთი. „ვალენსია“ – „ატლეტიკო“ 0:1, „რეალი“ – „ოსასუნა“ 4:0, „ვილიარეალი“ – „ბარსელონა“ 2:3, „ბილბაო“ – „სევილია“ 3:1.

იტალია. „რომა“ – „მილანი“ 2:0, „ინტერი“ – „ნაპოლი“ 0:0,

„ბოლონია“ – „ფიორენტინა“ 0:3, „ვერონა“ – „კატანია“ 4:0.

ინგლისი. „ლივერპული“ – „ჩელსი“ 0:2, „კრისტალ პალასი“ – „სიტი“ 0:2, „მანჩესტერი“ – „ნორვიჩი“ 4:0, „სტოკი“ – „ტოტენჰემი“ 0:1, „საუთჰემპტონი“ – „ევერტონი“ 2:0.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ვერდერი“ 5:2, „ლევერკუზენი“ – „ბორუსია“ 2:2, „შალკე“ – „გლადბახი“ 0:1, „ვოლფსბურგი“ – „ფრაიბურგი“ 2:2.

საფრანგეთი. „სოშო“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 1:1, „აიაჩო“ – „მონაკო“ 1:4, „ლიონი“ – „ბასტია“ 4:0, „ევიანი“ – „სენტ ეტიენი“ 1:2, „ლილი“ – „ბორდო“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

გერმანია ერთა თასზე დაბრუნდა და მსოფლიო თასისთვის ბრძოლას აგრძელებს

მომავალი წლიდან ევროპის ერთა თასზე ბელგიის ნაცვლად გერმანიის ნაკრები დაბრუნდება. გარდა ამისა, გერმანელები მსოფლიო თასის საგზურისთვისაც აგრძელებენ ბრძოლას.

გერმანელთა მთავარი კონკურენტი ბოლო ტურში მოლდოვა იყო, მაგრამ მოლდოველები ჩეხეთში 19:37 დამარცხდნენ, ხოლო გერმანელებმა შვედეთში მასპინძლები 45:20 გაანადგურეს და ერთა თასის მეორე დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავეს. მათ 10-იდან 8 თამაში მოიგეს, მხოლოდ ორი დათმეს და ჯამში 39 ქულა მოაგროვეს, მოლდოვას კი 34 ქულა დარჩა. გერმანია პირველ წრეში პოლონეთში 13:22, ხოლო მეორეში მოლდოვაში 15:30 დამარცხდა.

ერთა თასზე დაწინაურების გარდა, ბუნდესგუნდი 2015 წლის მსოფლიო თასის საგზურისთვისაც იბრძვის და 10 მაისს მესამე დივიზიონის გამარჯვებულ ჰოლანდიას სტუმრად ეთამაშება. ამ წყვილს შორის მოგებული მომდევნო, ასევე ერთმატჩიან რაუნდში 24 მაისს ერთა თასის მესამეადგილოსან რუსეთს უმასპინძლებს და გაირკვევა იმ გუნდის ვინაობა, რომელიც ევროპიდან ბოლო, მე-20-ე საგზურისთვის საკონტინენტთაშორისო რეპეშაჟში ჩაებმება.

პარალელურად, დაიწყო აზიის შესარჩევი ეტაპიც, სადაც კორეამ შრი ლანკა 59:3, ხოლო ჰონგ კონგმა ფილიპინები 108:0 დაამარცხა. იაპონია საქმეში ჯერ არ ჩართულა, აზიის შესარჩევი ეტაპი კი 25 მაისს დასრულდება. ივნის-ივლისში გაიმართება აფრიკის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი ტური და საქართველოს ნაკრების ბოლო მეტოქეც მაშინ გაირკვევა. შესარჩევ ეტაპზე ნამიბია, ზიმბაბვე, კენია და მადაგასკარი თამაშობენ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

შარაპოვას საიუბილეო ტიტული

ძალთა შორის მსოფლიოს რეიტინგსიის მეცხრე ნომერმა მარია შარაპოვამ შტუტგარტში საჩემპიონო ტიტულის დაცვა მოახერხა. Porsche Tennis Grand Prix-ის წლევანდელი ტურნირის ფინალში მან სერბ ანა ივანოვიჩს 3:6, 6:4, 6:1 სძლია და კარიერის განმავლობაში 30-ე შეჯიბრება მოიგო. 27 წლის რუსმა შტუტგარტში გამარჯვების გამო ავტომობილი „პორშე“, 96774 ევრო და 470 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

შარაპოვა-ივანოვიჩის ფინალმა 2 საათსა და 3 წუთს გასტანა. შარაპოვამ 7 ბრეიკი, 4 ეისი შეასრულა და 26 წლის სერბთან პირადი შეხვედრების ანგარიში 8:2 გახადა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დანაკლისი

ბოშკოვიც გარდაიცვალა



ლეგენდარული სერბი ფეხბურთელი და მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. საფეხბურთო კარიერა მან „ვოივოდინაში“ დაიწყო და შემდეგ „სამპდორიაში“ თამაშობდა, რომელშიც შემდეგ მწვრთნელად დაინიშნა და გენუელებს 1990-91 წლების სეზონში იტალიის ჩემპიონატი მოაგებინა.

ვუიადინ ბოშკოვმა „სამპდორიასთან“ ერთად იტალიის თასი ორჯერ, სუპერთასი ერთხელ, ხოლო 1989-90 წლებში ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოიგო. სერბმა სპეციალისტმა „სამპდორია“ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გაიყვანა, სადაც „ბარსელონასთან“ 0:1 დამარცხდა.

ბოშკოვმა მადრიდის „რეალს“ 1979-80 წლების სეზონში ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა. 1974-75 წლებში კი ჰოლანდიურ „დენ ჰააგს“ ქვეყნის თასზე გაამარჯვებინა.

მანუჩარ გიორგაძე

„შრომამ შექმნა ადამიანი...“

პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებსაც უმუშევრობა არ ემუქრებათ

გლობალური განათლების სისტემა ნელ-ნელა იცვლება. მომავალი სტუდენტები პროფესიის არჩევისას სულ უფრო პრაგმატულები ხდებიან და „მყვირალა სახელწოდებიანი“, ე.წ. ზეპოპულარული პროფესიებისგან განსხვავებით, სამომავლო მიზნებზე მორგებულ პროფესიას ირჩევენ.

როდესაც ვებ-გვერდებზე „დაძვრებით“, გიფიქრიათ თუ არა ადამიანზე, ვის მიერაც ეს ყველაფერია შექმნილი? ვებ-დეველოპერის ფუნქციაში შედის საიტის დიზაინის გადაწყვეტა, მისი შემუშავება და საბოლოო სახის მიცემა. მათ კომპეტენციაში ასევე შედის, საიტის მართვა და შესაძლო პრობლემების გადაჭრა.

აშშ-ს შრომის დეპარტამენტის პროგნოზის მიხედვით, **ვებ-დეველოპერების** ვაკანსიები 2012 წლიდან 2022 წლამდე 20%-ით გაიზრდება. ციფრული ეპოქის ხანაში რთული მისახვედრი არაა, რომ იგივე ტენდენციები იქნება მსოფლიოს დანარჩენ ნაწილშიც. სმარტფონების, ტაბლეტებისა და მსგავსი მოწყობილობების ბუმი იმაზე მიუთითებს, რომ ვებ-დეველოპერის პროფესია კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური.

სიაში მეორე ფარმაცევტის ტექნიკური დამხმარის პროფესიაა. იმის ნაცვლად, რომ სამედიცინო კოლეჯში წლები ისწავლოთ, ამ პროფესიის დასაუფლებლადაც რამდენიმე თვეა საკმარისი. ისინი ლიცენზირებულ ფარმაცევტებს ეხმარებიან წნევის გაზომვაში, რეცეპტების მიხედვით წამლების გაცემაში, მათ შეფუთვაში, აღჭურვილობის მოწესრიგებაში და მომხმარებელთა შეკითხვების პასუხსა და ინფორმირებაში.

იმ პროფესიებს შორის, რომლებიც კვალიფიკაციის დაბალ დონეს მოითხოვენ, მოთხოვნა კი საკმაოდ მაღალია, **მესამე ადგილზე გამათბობლების, კონდიციონერებისა და მაცივრების შემკეთებლის** პროფესიაა. დღევანდელი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ტემპერატურის კონტროლია. გამათბობლები უზრუნველყოფენ სითბოს ზამთარში, გამაგრილებლები კი სიგრილეს ზაფხულში. მაცივრები კი ჩვენს პროდუქტს უსაფრთხოდ ინახავენ. მათი შემკეთებელ-მემონტაჟეების პროფესიაც შესაბამისად მოთხოვნადია.

მეოთხე პროფესია დიაგნოსტიკური სამედიცინო სონოგრაფიაა. ამ პროფესიას თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში უმაღლესი კვალიფიკაცია არ სჭირდება, რადგან დიაგნოზის დასმა თანამედროვე აპარატების საშუალებითაა შესაძლებელი, მთავარია, მათი მოხმარება ვიცოდეთ. ამ პროფესიაზე მოთხოვნა 2022 წლისთვის, რეკორდულად, 46%-ით გაიზრდება.

სულ უფრო პოპულარული ხდება სამშენებლო მენეჯერის პროფესია. შენობები და ცათამბჯენები რომელსაც თვალი ასე შეეჩვია, თავისით არ შენდება. სამუშაო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი არიან სამშენებლო მენეჯერები. ამ პროფესიაზე მოთხოვნა 2022 წლისთვის 16%-ით გაიზრდება. მოთხოვნის ზრდას განსაკუთრებით წინასწარმეტყველებენ მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში, რადგან კომერციული პროექტების ბუმია მოსალოდნელი.

2022 წლამდე **11%-ით გაიზრდება ბუღალტრებისა და აუდიტორების დამხმარე პერსონალზე მოთხოვნა.** არც ამ პროფესიას სჭირდება უმაღლესი განათლება. მათი მთავარი მოვალეობა ქვითრების, ვაუჩერებისა და ნაღდი გადახდების აღრიცხვა-გატარებაა.

გიყვართ იურისპრუდენცია, მაგრამ არ გხიბლავთ უმაღლეს სასწავლებლებში წლების გატარებისა და ასეული ათასი დოლარის დახარჯვა? მაშინ იურისტის დამხმარის პროფესია სათქვენო ყოფილა. მათ მოვალეობაში შედის კვლევების ორგანიზება, დოკუმენტაციის მომზადება-ორგანიზება. ისინი ასევე აწარმოებენ მოპალარაკებებს კლიენტებთან. 2022 წლამდე ამ პროფესიის ადამიანებზე მოთხოვნა 17%-ით გაიზრდება.

ექვსი ყველაზე მაღალანაზღაურებადი „დაბალი კვალიფიკაციის“ მქონე პროფესია. ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პროფესია ამ სიაშიც მოხვდა. მაგალითისათვის, იურისტის დამხმარის საშუალო შემოსავალი წელიწადში 46.990 აშშ დოლარია, მათგან ყველაზე მაღალანაზღაურებადი ნაწილი წელიწადში 75 410 აშშ დოლარს გამოიმუშავებს, ყველაზე დაბალანაზღაურებადის შემოსავალი კი წელიწადში 29 420 აშშ დოლარია. ლიცენზირებული ექთნების საშუალო წლიური შემოსავალი 65 470 აშშ დოლარია. ყველაზე მაღალ შემოსავლიანების საშუალო შემოსავალი წელიწადში 94 720 აშშ დოლარს, ხოლო დაბალშემოსავლიანების შემოსავალი 45 040 აშშ დოლარს შეადგენს. პოლიციის ოფიცრების საშუალო შემოსავალი წელიწადში 55 270 აშშ დოლარია, ყველაზე მაღალანაზღაურებადი ოფიცრები 89 310 აშშ დოლარს იღებენ, ხოლო ყველაზე დაბალშემოსავლიანები — 32 350 დოლარს.

სტომატოლოგის ჰიგიენისტების საშუალო წლიური შემოსავალი 70 210 აშშ დოლარია, ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალისტების შემოსავალი — 96 280 აშშ დოლარი, ყველაზე დაბალანაზღაურებადის შემოსავალი კი 46 540 აშშ დოლარია წელიწადში. პროგრამისტები წელიწადში საშუალოდ 74 280 აშშ დოლარს გამოიმუშავებენ, ყველაზე მაღალანაზღაურებადები — 17 890 აშშ დოლარს, ყველაზე დაბალშემოსავლიანები კი — 42 850 აშშ დოლარს. სამედიცინო დოკუმენტაციის აღმრიცხველი და ჯანდაცვის სფეროს სხვა ტექნიკური პერსონალის საშუალო წლიური შემოსავალი 34 160 აშშ დოლარია, მათგან ყველაზე მაღალშემოსავლიანები წელიწადში საშუალოდ 56 200 აშშ დოლარს იღებენ, ყველაზე ნაკლებშემოსავლიანები კი 22 250 აშშ დოლარს.

მსოფლიო ტენდენციებს ფეხს საქართველოც უწყობს. ჩვენთან, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში მაღალია მოთხოვნა მარკეტინგის სპეციალისტებზე, ვებ-დიზაინერებზე, ბუღალტრებსა და სხვა ზემოთ დასახელებულ პროფესიებზე. რაც შეეხება საქართველოს შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა მხრიდან, ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ათეულს, შემდეგნაირად გამოიყურება: **სიაში პირველი მარკეტინგის სპეციალისტია.** ბოლო წლებია ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება **გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე.** მოთხოვნა გამოწვეულია კომპანიების სურვილით გაზარდონ გაყიდვები და მოძებნონ კადრი, ვინც ამ პროცესს გაუძღვება; ამასთანავე, პრობლემაა პროფესიონალების ნაკლებობა ბაზარზე, რაც ხშირად იწვევს კადრების დენადობას, ხდება ძველის გაშვება და ახლების მიღება. ამ პროფესიის კვალიფიციურ კადრს სამსახურის მოძებნა არ გაუჭირდება, რადგან დღესდღეობით უამრავი ახალი პროდუქტი გაჩნდა ბაზარზე. კარგმა სპეციალისტმა მაღალი კონკურენციის პირობებში გაყიდვა უნდა გაზარდოს, ეს კი ადვილი ნამდვილად არაა.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია მოთხოვნა. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელიც იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე.

მაღალია, მოთხოვნა **ვებ-დიზაინერის პროფესიაზეც.** განსაკუთრებით პოპულარულია გრაფიკული დიზაინის, მულტიმედიის, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებები. პროგრამისტებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია, ბიზნესს კომპანიები დიდ ყურადღება უთმობენ ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში კორპორატიული პროფილების ინტეგრირებას და განვითარებას.

წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნა **დისტრიბუტორებზე. ბაზარზე უამრავი სავაჭრო ობიექტი გაიხსნა, მათ კი მომარაგება სჭირდება.** ამ სფეროში განსაკუთრებით დიდია კონკურენცია. მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება დისტრიბუტორებზე, რაც ასევე კომპანიის ქსელების გაფართოებით ან ახალი ჩამნაცვლებელი კადრების ძიებით არის განპირობებული.

ტურიზმის სპეციალისტის პოპულარობა ბოლო დროს ტურიზმის მთავარ მიმართულებად გამოცხადებამ გამოიწვია. ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა დაიწყო, საქართველოს პოტენციალის საერთაშორისო რეკლამირებამ კი საქართველოსადმი ინტერესი გაზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა გიდებზე, რამაც გასულ წლებში კადრების დეფიციტი გამოიწვია. განსაკუთრებული მოთხოვნაა ინგლისურენოვან გიდებზე.

ბუღალტერ-ფინანსისტი საკმაოდ პერსპექტიული პროფესიაა. შრომის ბაზარზე ამ სპეციალობის წარმომადგენლებს საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვთ. ბუღალტერი, ისევე როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიის სპეციალისტი, ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება. გარდა ამისა, კვალიფიციური ბუღალტერი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობაში, კომპანიების ფინანსურად გამართვაში და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილებაში. ტურიზმის განვითარებამ ასევე გამოიწვია მოთხოვნის ზრდა მიმტანის, ბარმენის, სასტუმროს ადმინისტრატორის პროფესიებზე.

საქართველოში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ **ექიმები, იურისტები და მასწავლებლები.** ამის მიზეზი ისაა, რომ მასწავლებლობა დღეს აღარავის სურს. კვალიფიციური კადრები სამუშაოდ სკოლაში აღარ მიდიან, რადგან პედაგოგის ანაზღაურება საკმაოდ დაბალია, პასუხისმგებლობა კი ძალიან დიდი. პედაგოგებს შორის ჭარბობს მოთხოვნა ინგლისური ენის მასწავლებლებზე.

ლილუ მიროტაძე

reportiori.ge

მეუღლე გულბათ ტორაძე, შვილი ნინო ტორაძე, და ლიკა მაჭავარიანი იუწყებიან

თამარ დავითის ასულ მაჭავარიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 IV 17 სთ. დაკრძალვა 1 V, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 20 ა, ბ. 19.

მეუღლე დოდო კამარაული, შვილები მარიამ, ნონა, დათო ჩოფიკაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ როდინას ძე ჩოფიკაშვილი

პანაშვიდი 29, 30 IV, 17 სთ. დაკრძალვა 1 V, 16 სთ. მისამართი: სტეფანწმინდა (ყაზბეგი).

თენგიზ წივწივაძის ოჯახი გულისტკივილით და მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მერაბ როდინას ძე ჩოფიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მოსაგონარი



შოთა ოტიაშვილი

უშენოდ განვლილი წელიწადი ძალიან მძიმე და ტკივილიანი იყო ჩვენთვის — შენზე უსაზღვროდ შეყვარებული ცოლშვილისთვის.

ნუგეშს ზეციური სამყაროდან ისევ შენი ლოცვის მოლოდინში ვპოულობთ, მუდამ ჩვენზე მზრუნველო და ძვირფასო შოთა.

ანა, ხათუნა ოტიაშვილები

სანთელი

კლიმენტი შელიას გახსენება

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ მამა. ორმოცი ტკივილიანი, სევდით და სიცარიელით აღსავსე დღე. ახლა მივხვდით, თუ როგორ გვიმსუბუქებდი ცხოვრებას, როგორ გვიკვლევდი გზას და როგორ არ გვაძლევდი უფლებას გველალატა ღირსებისათვის, რწმენისათვის, მომავლისათვის. მადლობა მამა იმისთვის, რომ შენ ცხოვრობდი, ქმნიდი და იკვლევდი ჩვენი ერის წარსულს, რითაც თაობებს გაუღვივე სიამაყის გრძნობა და მომავლის რწმენა. მსუბუქი იყოს შენთვის მადლიანი ქართული მიწა. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

შვილები

ინფორმაცია

გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებული პროცესი ორი კვირით გადაიდო

დათა ახალაიას დაცვაში ჩართულმა ახალმა ადვოკატმა საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე შუამდგომლობა დააყენა, რომ ბრალდებულმა, რომელიც საბერძნეთშია დაკავებული, საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს და სწორედ ამ მოტივით ითხოვა პროცესის გადადება. შემდგომი პროცესი 16 მაისს 13:00 საათზე გაიმართება. აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ დააკმაყოფილა, თუმცა, ეს პროკურატურისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

როგორც პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა პროცესის გადადების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალაია ძებნილი იყო და მას პოზიციის დაფიქსირება და გამოძიებასთან თანამშრომლობა არ სურდა. შესაბამისად, პროკურორი მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის ადვოკატების დღევანდელი შუამდგომლობა საქმის გაჭიანურებას ემსახურება.

ჩამორთმეულია 600 ბოთლი უაქციზო „ბელუგა“

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე, მოქალაქეები — ბექა ფირანიშვილი, იმედა ფირანიშვილი და რაჩიკ მიქელიანი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებულებმა, თბილისის ტერიტორიაზე, ქართული აქციზური მარკის გარეშე გადაზიდეს და გაასაღეს, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული, 30 000 ლარის ღირებულების 600 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი „ბელუგა“.

დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

ბადრიჯანი... თამბაქოს წინააღმდეგ

გერმანელ მეცნიერთა აზრით, მას, ვისაც თამბაქოს მოწევას თავის დანებებას ცდილობს, მეტი... ბადრიჯანი უნდა ჭამოს!

საქმე ისაა, ნიკოტინის მჟავის სახელით ცნობილი ვიტამინი PP-ს წყალობით ბადრიჯანი ნიკოტინსადმი ლტოლვის დაძლევაში დაგეხმარებათ, რაც თამბაქოს მოწევას თავის დანებების ნებისმიერი მსურველისთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომაცაა, რომ თამბაქოს მწეველებს ექიმები მეტი ბადრიჯნის ჭამას ურჩევენ, რაც მოწევის სურვილს დიდად ამცირებს.

ხვრინავ? იმღერე!..

ბრიტანელ მეცნიერთა აზრით, ყოველდღიური სიმღერით შესაძლებელი ყოფილა... ხვრინვის დაძლევა.

მკვლევარებმა მხვრინავი და აპნოეთი (ძილში სუნთქვის გაჩერებით) დაავადებული მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წევრებს ყოველდღიურად სპეციალური პროგრამით 20 წუთის განმავლობაში ამეცადინებდნენ, მეორე, საკონტროლო ჯგუფის წევრები კი არაფერს არ აკეთებდნენ. სამი თვის შემდეგ პირველი ჯგუფის მოხალისეებს ხვრინვის ინტენსივობა, სიხშირე და ხმა, ასევე აპნოეს ეპიზოდების სიხშირე და ხანგრძლივობა შეუმცირდათ, ძილის ხარისხი კი გაუმჯობესდა.

გონიერების რეიტინგი

დედამიწაზე ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე გონიერი, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც დღესდღეობითაა ცნობილი და რამდენადაც გვინდა, რომ ეს ასე იყოს, ადამიანია.

თუ რამდენად შეესაბამება ეს მტკიცება სინამდვილეს, ცივილიზაციის ისტორიის გათვალისწინებით, სულ სხვა საქმეა. ამ მხრივ „გონიერების შკალაზე“ მეორე საფეხურზეა შიმპანზე, „საპრიზო სამეულის“ ჩამკეტი კი გორილაა. გონიერებით გამორჩეულ ცხოველთა ათეულში ასევე არიან პრიმატები ორანგუტანგი და გიბონი, შემდეგ ზღვის ცხოველები ვეშაპი და დელფინი, მერე შინაური ცხოველები ცხენი და ძაღლი, ბოლოს კი სპილო.

თურმე, ისევ უძილობა სჯობს!

მედიკოსებმა გასაოცარი დასკვნის შესახებ განაცხადეს: თურმე ზედმეტი ძილი, უძილობაზე გაცილებით საშიში ყოფილა.

დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ ძილნაკლოვანება კიბოს, ნევროზებისა და გულის სისხლძარღვთა დაავადებებს პროვოცირებს. მაგრამ, 55 ათასი ავადმყოფის ისტორიის შესწავლის შემდეგ, დასკვნა გამოიტანეს, რომ 45 წელს გადაცილებულ ადამიანებში ზედმეტ ძილს დიაბეტის, ინსულტის, სიმსუქნისა და გონებრივი აშლილობის გამოწვევა შეუძლია.

„კულინანი“, „აფრიკის შავი ვარსკვლავი“ და სხვები

მსოფლიოში უამრავი პატიოსანი თვალია, მათ შორის, ცხადია, ბრილიანტიც, რომელთა შორის ყველაზე დიდი ზომისაა „აფრიკის ვარსკვლავი“ (მისი მეორე სახელია „კულინანი“), რომელიც 530,2 კარატს იწონის.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სიდიდისა, „აფრიკის ვარსკვლავს“ მაინც ერთი „ნაკლი“ აქვს – იგი უფერულია, შეფერილი ბრილიანტები კი გაცილებით მეტად ფასობს.

ყველაზე დიდი ყვითელი ფერის ბრილიანტია „შეუდარებელი“, რომელიც 497,48 კარატეს იწონის, შავ ბრილიანტებს შორის კი ყველაზე დიდი ზომისაა 312,24 კარატის წონის „აფრიკის შავი ვარსკვლავი“.

საგულისხმოა, რომ ცოტა ხნის წინათ, ლონდონში „სოტბის“ აუქციონზე 110-კარატიანი ყვითელი ბრილიანტი 14,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ვის – დიეტა, ვის – ძალით კვება

დიეტოლოგებმა დაადგინეს, რომ ჭარბი წონის მქონე ადამიანები სტრესისგან კიდევ უფრო მეტად სუქდებიან, გამხდრები კი უფრო მეტად ხდებიან.

აღმოჩნდა, რომ აღელვებულ ზედმეტად ტანსრულ ადამიანებს ჭამის მადა აღეძრებათ ხოლმე, ამიტომაც თავიანთ განცდებს ისინი საკვებს „ატანენ“. გამხდარ ადამიანებში კი სტრესები პირიქით, ჭამის მადის დაქვეითებას იწვევენ. ამიტომაც, სქელ ადამიანებს სტრესების დროს დიეტოლოგები დიეტის დაცვას, გამხდრებს კი საკვების ძალით მიღებას ურჩევენ.

თარსი ორშაბათი

კვირის გამორჩეულად ყველაზე მძიმე დღეს, ორშაბათს, მრავალი უცნაური და ამოუხსნელი ამბავი უკავშირდება, რომელთაგან ინგლისელმა ფსიქოლოგებმა ათი ნიშანი გამოყვეს. მათ შორის:

ორშაბათობით ადამიანთა უმრავლესობას დილის 11 საათამდე არ ეღიმება; თანამშრომელთა დაახლოებით ნახევარი, რაგინდ მკაცრი რეჟიმის სახელმწიფო უწყებაში თუ კერძო კომპანიაში მუშაობდეს, ორშაბათობით სამსახურში იგვიანებს; ორშაბათობით ყველა კაცმა დღეში 12 წუთი მაინც უნდა იწუწუნოს; სტატისტიკური მონაცემებით, თვითმკვლელობათა უმრავლესობა სწორედ ორშაბათობით ხდება; ამ დღეს მიოკარდის ინფარქტის შემთხვევათა რიცხვი 20 პროცენტით მატულობს; ორშაბათობით ყველაზე იშვიათად წვიმს. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ მანქანის შესაძენად ყველაზე ხელსაყრელი დღე სწორედ ორშაბათი ყოფილა. საქმე ისაა, რომ შაბათ-კვირის შემდეგ გამყიდველებს სარფიანი გარიგების იმედი ნაკლებად აქვთ, ამიტომ ფასსაც ადვილად აკლებენ.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება:
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P130413**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP-4/CS/QCBS - 01**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის აგარის შემოვლითი გზის (აგარა-გომი (ზემო ოსიაური)) კმ.19-კმ31 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა**

ტენდერის სახეობა: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

კონტრაქტორი: **შ.პ.ს. „თემელსუ ინთერნეიშენალ“**

მისამართი: **თურქეთი, ანკარა**

კონტრაქტის ღირებულება: **3,067,705.00 (სამი მილიონ სამოცდაშვიდი ათას შვიდას ხუთი) აშშ. დოლარი გადასახადების ჩათვლით**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **27 თვე კონტრაქტის ზედამხედველობისთვის და დეფექტების გამოსწორების პერიოდი 12 თვე – ჯამში 39 თვე**

Contract Award Notification

Project Name: **Forth East-West Highway Improvement Project**

Country: **Georgia**
Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: **EWHIP - 4/CS/QCBS-01**
Scope of Contract: **Supervision of Construction Works for Upgrading E-60 Highway Section II: Agara-Gomi (Zemo Osiauri) (Km19-Km31)**
Bid type: **Quality and Cost Based Selection**
Contractor: **Temelsu International Engineering Services Inc.**
Address: **Yildizevler 721, Sokak #6, 06550 Cankaya, Ankara, Turkey**
Total contract cost: **$3,067,705.00** (Three Million Sixty-Seven Thousand Seven Hundred Five) US Dollars inclusive of local indirect taxes.
Duration of Contract: **27 Months For Contract Supervision and A Defect Liability Period of 12 Months – All Together 39 Months**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ტიპთან შედის მეზობლის ქალი და სთხოვს, ონკანი შემიკეთეო.

— კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? გამოგეძახებინა სანტექნიკოსი.

— უი, მაგათი სინსილაც გაწყდა, ლოთობისგან ყველანი იმპოტენტები არიან.

* * *

ძალი საყვარელთან ნებივრობს. ამ დროს მისი ქმარი მოულოდნელად დაბრუნდა სამსახურიდან. ქალი საყვარელს მაცივარში მალავს. ქმარი სამზარეულოში შედის, მაცივარს აღებს და...

— შენ ვინა ხარ? — ეკითხება.

— ვასია ვარ.

— მერე აქ რას აკეთებ?

— ძეხვს ვჭამ.

დაბრუნდა ქმარი სამსახურში და ეს ამბავი ძმაკაცებს მოუყვა.

— სულელი ხარ, — დასცინეს მათ, — ის შენი ცოლის საყვარელი ყოფილა.

გამწარებული ქმარი სახლში გავარდა. ეცა მაცივარს. იქ კვლავ ვიღაცა კაცი ზის.

— შენ ვინა ხარ, რა გქვია?

— ფედია.

— მისმინე, ფედია, ვასიას უთხარი, რომ თუ ვნახე, მოვკლავ!

* * *

გუშინ უკრაინაში შეიარაღებული შეტაკება მოხდა. დაიჭრა რვა ამერიკელი და ექვსი რუსი ჯარისკაცი. სერიოზულად დაშავდა უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე. ახია მასზე — რას ერეოდა სხვის საქმეში?

* * *

— გაიგე, პეტკა ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში გაწევრებულა და მისი ძალიან მაგარი აქტივისტიც გამხდარა.

— ეჰ, რას არ აკეთებენ ეს კაცები, ოღონდ როგორმე ცოლისთვის ქურქის ყიდვისგან დაიძვრინონ თავი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24